სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 თებერვალი 2008 №044 (3268)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონში მილანელოს მოწყობა ბიუროკრატიულ ბარიერში გაეჩხირა

ილია კოკაია ულიცენზიო აგენტებს ებრძვის

გურამ დოლაძეგაგვილის ფოტო

— იმ დასკვნამდე მივედით, რომ დროზე გავცლოდით შექმნილ ვითარებას... საქმეში ფულს ვდებთ, მაგრამ ვეღარ დავინახეთ ის გზა, რომელიც, ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის წარმატების მომტანი იქნებოდა...

— „ზესტაფონი“ ჩემპიონატში მონაწილეობას აგრძელებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები მოხსნილია...

— განუგრავას ბედით გაიოზ დარსაძე ჟონგლიორობდა. ის, თავის დროზე, გავაფრთხილე კიდეც, რომ ამის უფლება არ აქვს...

— მთავარია, სახელმწიფოს ხელშეწყობა იყოს, ინვესტორები პირობებით დავაინტერესოთ და საკლუბო ინფრასტრუქტურა თავისთავად განვითარდება. საქმის კეთების მეტი ხალისი იქნება...

— ჩვენ ვართ ქართულ ფეხბურთში და ვფიქრობ, ჩვენი მოსაზრებებიც საინტერესო უნდა იყოს. აბა, სეირის ყურება სასიამოვნო სულაც არ არის.

ინტერვიუ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიასთან

იხილეთ მე-3 გვერდზე

გუშინდელი იუბილარი დაბადების დღეს დღეს აღნიშნავს

უტორტოდ და უალკოჰოლოდ

ეკა ყალაძე მთავარ საჩუქარს ნაცრებისგან ელის

ფეხბურთი სხვა თვალით. კოლხიდას რვა თვალით

კამერა მალე რაგბის მიადგება

გიორგი კეკელიძის ფოტო



ფოტოზე: ფასიანი ტელევიზიის ოპერატორი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია

დავით დევდარიანმა იცის: მოიკელი, რათა მიიღო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელებად „სარბიელმა“ რუსთავის „ოლიმპის“ საყრდენი ნახევარმცველი დავით დევდარიანი და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფლანგელი ნახევარმცველი ირაკლი კლიმიაშვილი დაასახელა. განახლდა ჩემპიონატი და პირველივე ტურში „ოლიმპმა“ „ეროვნულზე“ თბილისის „დინამოს“ სძლია (2:1), ამაში კი დიდი წვლილი დევდარიანს მიუძღვის — გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გაახერხა.

დავით დევდარიანი გუშინ „სარბიელის“ რედაქციაში ვისტუმრეთ...

— რამდენი წლის იყავი, ფეხბურთის თამაში რომ დაიწყე?

— 8 წლის ვიყავი, ფეხბურთზე რომ შევედი. „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში ჩემი პირველი მწვრთნელი და აღმზრდელი გელა გომელაურია. შემდეგ „ოლიმპის“ სკოლაში გადავედი, იქაც გომელაური მწვრთნიდა. „ოლიმპის“ საფეხბურთო სკოლაზე მინდა ვთქვა — იქ ძალიან კვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ. დღეს რომ ფეხბურთელი ვარ, მათი დამსახურებაა. მინდა, ამ სკოლამ კიდევ დიდხანს იარსებოს და საქართველოს ბევრი კარგი ფეხბურთელი აღუზარდოს.

— უმაღლეს ლიგაში ადრეც გითამაშია, როცა „თბილისში“ ირიცხებოდი. მაშინ ამ გუნდს ლუის ცაკარიასი წვრთნიდა, შენ კი 17 წლის იყავი...

— ცაკარიასმა პირველი ლიგიდან გადამიყვანა მთავარ გუნდში და ორ მატჩში ვითამაშე.

— შემდეგ ტრავმა მიიღე და კარგა ხანს უქმად იყავი...

— კუნთი დამიზიანდა და მის მკურნალობას დიდი ხანი დასჭირდა. ის პერიოდი საშინლად მახსენდება...

— ამ სეზონის დასაწყისიდან კი რუსთავის „ოლიმპში“ ხარ...

— ძალიან მეგობრული გუნდია, არ იგრძნობა უფროს-უმცროსობა, ყოველთვის ცდილობენ, სასარგებლო რჩევები მომცენ და ყველასი მადლიერი ვარ.

— მთავარ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცზე რას იტყვი?

— დადებითი პიროვნება და კარგი მწვრთნელია. ეს რომ ასეა, მგონი, „დინამოსთან“ მატჩშიც გამოჩნდა.

— ამ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყავი, გოლიც გაიტანე და საგოლე პასიც გაახერხე...

— ამ მატჩს ამაღლებული განწყობით შევხვდი — „ეროვნულზე“ ატმოსფეროც საფეხბურთოა, მინდორიც კარგ მდგომარეობაში იყო და ამ ყველაფერმა დადებითად იმოქმედა. ყველამ მშვენივრად ითამაშა და, ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

— ფაქტობრივად, ავადმყოფობის გამო მოსამზადებელი პერიოდი არც გაგივლია...

— გუნდს ვერც უკრაინაში გავყევი შეკრებაზე და არც „თანამეგობრობის თასზე“ ვყოფილვარ. მხოლოდ ათი დღე მოვემზადე ურეკში. მგონი, „დინამოსთან“ მატჩშიც მეტყობოდა, შიგადაშიგ ვისვენებდი ხოლმე.

— ახალ თანაგუნდელებზე, ნიკა სტეფანიშვილსა და ალექსანდრ ომელიანოვზე რას იტყვი?

— გუნდს თავისუფლად შეეწყვნენ. სტეფანიშვილი ძალიან ტექნიკურია და ერთმანეთს უკვე უსიტყვოდ ვუგებთ.

— საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა „ზესტაფონთან“ რუსთავში 0:1 დათმეთ. როგორ ფიქრობ, ნახევარფინალში გასვლის შანსი გაქვთ?

— ცუდია, რომ დავმარცხდით, თუმცა ჯერ ხელი არ ჩაგვიქნევია და ზესტაფონში დიდ ბრძოლას გავმართავთ. ჩვენი უპირველესი მიზანი თასის აღებაა, ჩემპიონატში კი, რაც შეიძლება, წინ უნდა წავიწიოთ და ევროთასის საგზური ავიღოთ.

— ჯერ 20 წლის ხარ და საფეხბურთო კარიერა წინ გაქვს. შენს ნაკლად რას მიიჩნევ?

— მე ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია და უამრავი რამ მაქვს სასწავლი და დასახვეწი. ვიცი, თუ გინდა, კარგი ფეხბურთი ითამაშო, ბევრი რამე უნდა მოიკლო, დღე და ღამე შრომაში გაატარო და აუცილებლად დაგიფასდება.

— ალბათ საქართველოს ნაკრებში მოხვედრაზეც ოცნებობ...

— ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ეროვნულ ნაკრებში თამაში და, ცხადია, არც მე ვარ გამონაკლისი. ისე, ასაკით ახალგაზრდულშიც მიწევს და თუ დავიმსახურებ, ალბათ გამომიძახებენ.

— და ერთიც: რომელი ქვეყნის ფეხბურთი მოგწონს?

— ბრაზილიის. საუკეთესო ფეხბურთელად კაკას მივიჩნევ, კლუბებიდან კი მადრიდის „რეალი“ მომწონს და იქ თამაშზე ვოცნებობ.

ნუკრი ლოლაძე

ქართველებმა კვიპროსში იგოლავეს

გუშინ კვიპროსის ჩემპიონატის მორიგ ტურში ორი ქართული გოლი გავიდა.

თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანართოსისმა“ 2:0 მოუგო „ოლიმპიას“ და კლიმენტი წიტაიშვილმა პირველი გოლი გაიტანა, ლევან ქებაძის „ეთნიკოსმა“ კი „პარალიმნის“ ასევე 2:0 სძლია და ქართველმა თავდამსხმელმა 81-ე წუთზე გამოიჩინა თავი.

კახა შალამბერიძე

საქართველო აზერბაიჯანს ბაქოზე შეუთანხმდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაცია შეთანხმდნენ — 28 და 30 ივლისს ამ ქვეყნების 17-წლამდელთა ნაკრებები ბაქოში ამხანაგურ მატჩებს გამართავენ.

„ჩვენ ქართველების წინადადებას დავთანხმდით და საპასუხო წერილი უკვე გავაგზავნეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში“ — განაცხადა აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციის სანაკრებო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბახრუზ ასკეროვმა.

დღეები და ქალაქი კი გარკვეულია, თუმცა აზერბაიჯანელთა თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რომელ სტადიონზე ჩატარდება ეს მატჩები.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს: გერმანელი ჰერბერტ ცანკერის ნაცვლად გუნდს გელა შეყილაძე უთავკაცებს.

კახა შალამბერიძე

დევდარიანი დამჭკიცდა

გურამ დოლენჯაველის ფოტო

გადაწყდა: საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად გიორგი დევდარიანი დაინიშნა.

იქიდან გამომდინარე, რომ 16-წლამდელებს წლეულსვე შეეძლებათ 17-წლამდელთა ნაკრებში თამაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 16-წლამდელთა ნაკრები 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, გელა შეყილაძის მეთვალყურეობით მოემზადება.

შეგახსენებთ, რომ გიორგი დევდარიანს აქამდე მწვრთნელად „თბილისში“, „ოლიმპის“ აკადემიასა და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში“ უმუშავია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXVIII ტური

აბერდინი 1:1 მოზერუელი
სელტიკი 2:1 ინვერნესი
დანდი იუნ. 1:1 სენტ მირენი
ფოლკირკი 0:2 ჰიბერნიანი
გრეტნა 4:2 კილმარნოკი
ჰარტსი 0:4 რეინჯერსი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ეარი 1:1 ერდრი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
არბროთი 2:0 ისტ სტირლინგი
ელგინი 0:5 სტრანრარი

ავსტრია

ბუნდესლიგა
XXVI ტური

ტიროლი 1:2 აუსტრია
ლინცერი 2:1 მატერსბურგი
რაპიდი 4:0 რიდი
ზალცბურგი 4:0 ალტახი

იტალია

სერია A
XXV ტური

ატალანტა 4:1 სამპდორია
კატანია 1:1 მილანი
ფიორენტინა 1:0 ლივორნო
ჯენოა 2:0 ნაპოლი
ინტერი 1:1 რომა
ლაციო 1:0 რეჯინა
პალერმო 2:0 ემპოლი
პარმა 2:0 უდინეზე
სიენა 1:0 კალიარი

ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი

ძუიდ ბოისი 0:3 ბრედა

ხორვატია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი
სლავენი 0:1 დინამო

შვეიცარია

თასის ნახევარფინალი

ბაზელი 1:0 თუნი
ბელინცონა 0:0 დ.დ. (4:2პ) ძსამაძსი

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

ძსანთი 0:0 არისი
ოლიმპიაკოსი 2:0 ირაკლისი

გერმანია

თასის მეოთხედფინალი

ვოლფსბურგი 2:1 დ.დ. (1:1) ჰამბურგი
ბაიერნი 1:0 დ.დ. (0:0) მიუნხენი

ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ბარსელონა 1:1 ვალენსია

საფრანგეთი

ლიგის თასი
ნახევარფინალი

ლე მანი 4:5 დ.დ. (4:4) ლანსი

ბელგია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

გენტი 4:0 კორტრაიკი (1:5)
დენდერი 1:1 ანდერლეხტი (0:3)
რუზელარე 1:1 ბეერსხოტი (1:5)
სტანდარდი 4:0 სერკლი (1:4)

ინგლისი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება

მიდლსბრო 1:0 დ.დ. (0:0) შეფილდი

პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი

ნავალი 1:2 სეტუბალი
პორტუ 1:0 ჟილ ვისენტე
ბენფიკა 2:0 მორეირენსე
სპორტინგი 1:0 ამადორა

პოლონეთი

ლიგის თასი
მეოთხედფინალი. I მატჩი

გურნიკი 0:1 კრაკოვია

თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

ძაისერი 2:0 ოფთა (0:0)
ბეშიძთაში 3:2 რიზე (0:1)
გალათასარაი 2:1 ფენერბაჰჩე (0:0)

ამხანაგური მატჩები

პოლონეთი 2:0 ესტონეთი
მიდტიულანდი 1:1 ალბინოლეფე
ლიუნგბიუ 0:1 მტზ-რიპო
ჰამ კამი 1:1 ვიკინგი
სირიუსი 2:1 იურგორდენი
ოდენსე 1:0 ბრანი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
მწუხარებას გამოთქვამს თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტ
ბადრი პატარკაციშვილის
გარდაცვალების გამო

კოლხიდა რაგბისაც აჩვენებს

გადრე კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე ფარაჯანოვის ფოტო

ლექსო თოფურია: გულშემატკივარი ქართულ ფეხბურთს დაიჯერებს

დღეს 16 საათზე „მიხეილ მესხის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში კომპანია „კოლხიდას“ პრეზენტაცია გაიმართება. შეიძლება ითქვას, „კოლხიდა“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი პროექტია, რომელიც წლეულს ქართულ ფეხბურთში განხორციელდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგასთან შეთანხმებით, „კოლხიდას“ ეროვნული ჩემპიონატის და თასის მატჩების პირდაპირი ტრანსლირების უფლება გადაეცა. ამასთან, კვირაობით ტურის მიმოხილვებიც იქნება. ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის მოზრდილი ნაბიჯი გადაიდგა და ეს ძალიან კარგია, თუმც „კოლხიდა“ ამაზე გაჩერებას არ აპირებს. უფრო მეტს ლექსო თოფურიასთან ინტერვიუთი შევიტყობთ: თბილისის „ლოკომოტივის“, „სილქ როუდ ჯგუფისა“ და „კოლხიდას“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სხვა საინტერესო სიახლეებზეც გვითხრა...

— „კოლხიდა“, რომელიც „სილქ როუდთან“ დაკავშირებული კომპანიაა, ერთი წელიწადი ემზადებოდა ამ პროექტისთვის. ვამზადებდით გადამღებ ჯგუფს, მიმდინარეობდა მოლაპარაკება პროფლიგასა და ფეხბურთის ფედერაციასთან, შარშან, წლის ბოლოს კი, შეთანხმებას მივაღწიეთ. მატჩებისა და მიმოხილვის გაშუქება მეორე წრიდან დაიწყო ტელეკომპანია „მზის“ ეთერში.

— საკმაოდ კი გაგიძნელდებოდათ — ბევრ სტადიონზე ძნელია მატჩის ნორმალურად გადაღება...

— ეს ცხადია. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სტადიონი მოვარგოთ უკეთესად. ამ გადაღებისთვის გავიყვანოთ ბოჭკოვანი კაბელი და საკომუნიკაციო საშუალებები. წლის ბოლომდე იგეგმება ვებგვერდის — www.goli.ge-ს მოწესრიგება, რომელშიც ოთხი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა მოხერხდება პარალელურად. ამ ვებგვერდზე ქართველ ფეხბურთელებზე ჩანახატებიც იქნება, ანუ ინფორმაციულ სახესაც შეიძენს. წლის ბოლომდე ეს მოესწრება...

...კიდევ, ფიქსირებული გადასახადების გარდა, როგორც კი „კოლხიდა“ მოგებაზე გავა, ამ მოგების 60 პროცენტს პროფლიგას მისცემს, რათა მან კლუბებს გადასცეს თანხა, ოღონდ თანხის განაწილება ლოგიკურად მოხდება გუნდების მიერ დაკავებული ადგილების მიხედვით. ეს პროცესი გამჭვირვალე იქნება და ყველაფერი ზუსტად დაფიქსირდება.

— „კოლხიდა“ ალბათ არცთუ მალე გავა მოგებაზე. დაახლოებით როდისთვის ელით?

— ერთი-ორი წელიწადი მოგებაზე ფიქრი ძნელია, მესამე წლიდან კი ვვარაუდობთ, რომ გვექნება.

— მატჩების რეპორტაჟები და მიმოხილვები ყოველთვის „მზეზე“ გადაიცემა?

— ზაფხულამდე უეჭველად ასე იქნება, შემდეგ ვნახოთ...

— წინა ტურში შედგა „კოლხიდას“ „ნათლობა“ და უნდა ითქვას, რომ გადაღების ხარისხი, ადრინდელთან შედარებით, საკმაოდ კარგი იყო. თუმც ეს ეროვნულ სტადიონზე...

— ტურის მთავარ მატჩზე, „დინამო“ — „ოლიმპზე“ რვა კამერა მუშაობდა. ყველა სტადიონი არ იძლევა ამის საშუალებას, ზოგან ექვსი კამერით მოხერხდება, ზოგან ერთით... რვით „მიხეილ მესხზე“ შეიძლება გადაღება, ქუთაისშიც შეიძლებოდა... მაგალითად, ზუგდიდში ექვსი კამერითაც მოსახერხებელია...

...პროექტის გაშუქებაში ბრიტანული კომპანია „სპორტს მედია სერვისი“ გვეხმარება, მათ ჰყავთ გამოგზავნილი რასელ ისააკი — კაცი, რომელიც ამ დარგში 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მუშაობს. ისააკს ევალება ხარისხზე კონტროლი, ადგილობრივი კადრების გაზრდა-მომზადება. ძალიან მნიშვნელოვანია პროფლიგისა და ფედერაციის როლიც — მსგავსი პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა.

— რამდენად მალე მოიტანს პროექტი იმ შედეგს, რასაც ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია ჰქვია? ანუ, გულშემატკივრების სტადიონზე მოზიდვას ვგულისხმობ...

— ამის თაობაზე ყოველთვის მომყავს ერთი მაგალითი: ვინც შარშან-შარშანწინ ლევან ყენიას თამაშს ტელევიზიით ნახავდა, დარწმუნებული ვარ, მისი თამაშის ცოცხლად ნახვაც მოუნდებოდა. კეთილი, ყენია თუ უკვე წასულია „შალკეში“, ახლანდელზე ვილაპარაკოთ — „ოლიმპის“ დავით დევდარიანია ახალი მაგალითი. მისი თამაში ვნახე და ერთი სიამოვნება მივიღე. როგორც გავიგე, მისით ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც დაინტერესდა. ასევე კარგი მაგალითია კიდევ ერთი ოლიმპელი ნიკა სტეფანიშვილი, რომელსაც შარშან არავინ იცნობდა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაიჯერებს გულშემატკივარი, რომ საქართველოში ტალანტები მოდიან. არადა, მართლაც, მოდიან, ეს დასაჯერებელია.

— რომელიმე ქვეყნის ჩემპიონატის მიმოხილვები არ აგიღიათ მისაბაძ მაგალითად?

— მიბაძვას ვერ დავარქმევ. ეს ყველაფერი ჯერ მაინც დახვეწის სტადიაშია, ახალი სახეები მოვიყვანეთ გადაცემის წამყვანებად. შესაძლოა, მათ დასაწყისში გამოცდილებივით ვერ იმუშაონ, მაგრამ მონდომება ნამდვილად ეტყობათ და ამ ეტაპზე კმაყოფილები ვართ.

— სხვა პროექტებიც ხომ არ გაქვთ?

— „მზემ“ შემოგვთავაზა, რომ სურს, რუსულ ენაზეც გადაიცეს მიმოხილვები და ტელეკომპანია „ალანიას“ გადასცეს გასაშუქებლად. ჩვენ მივესალმებით ამას და გარკვეულ დროში, ალბათ, განხორციელდება. ასევე, გეგმაში გვაქვს რაგბის მატჩების ტრანსლირება — ლაპარაკია, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე და ამას გახაფხულიდან ვგეგმავთ.

— კეთილი. ხვალ „კოლხიდას“ პრეზენტაცია იქნება და იქნებ გვითხრათ, რა სახით მოეწყობა...

— წარვადგენთ ახალ წამყვანებს, ვილაპარაკებთ ჩვენს გეგმებზე და იმაზე, თუ რას შევთავაზებთ თეორიულ სპონსორებს, თუმცა ახლა მათ ვერ გავახმაურებ.

— „ლოკომოტივზეც“ ვთქვათ. ამ სეზონში დიდი მიზნები ვერ გექნებათ — გუნდი გასავარდნ ზონაშია...

— აუცილებლად უნდა შეინარჩუნოთ ადგილი უმაღლეს ლიგაში — კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ — მიხეილ ალავიძე, ალეკო კაიდარაშვილი, თემურ ფარულავა, გიორგი ქუცურუა. ირაკლი სამხარაძესა და ნიკა გუშარაშვილს გრძელვადიანი კონტრაქტები გავუფორმეთ. მნიშვნელოვანია, რომ ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, სადაც აპრილიდან შეგვეძლება ვარჯიში, ხოლო მომავალი სეზონიდან კი მატჩების ჩატარებაც.

— „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ აღნიშნა, ჩვენ ფეხბურთელების იჯარით აყვანას ვერიდებით, თორემ ამის ფინანსური შესაძლებლობები გვაქვსო. ეს პრინციპია, რომ ფეხბურთელები იჯარით არ უნდა აიყვანოთ?

— არა, თვითმიზანი არ არის, მაგრამ მოკლევადიანი, მაგალითად, ექვსთვიანი იჯარით ფეხბურთელის აყვანას შედეგი ნაკლებად მოაქვს.

ილია ნანოგაშვილი

მომეცით ნაკვეთი, განახებთ მილანს!

ილია კოკაია: ფეხბურთელების მომტყუებლებს პრობლემებს შევუქმნით

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ და ამ ორი კვირის წინ დაწერილი განცხადება, ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილეობას უფულობის გამო აღარ ვაპირებთო... „ზესტაფონი“ და მისი ფეხბურთელები, რომლებიც კლუბიდან წასვლას ითხოვენ და ამბობენ, პრეზიდენტი ამ საკითხზე არც კი გველაპარაკებაო... „ზესტაფონი“ და, ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო ის საქმეები, რომლებიც ამ კლუბის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ წამოიწყო, მაგრამ გარკვეული პრობლემების გამო შუა .გზაში გაუჩერებია... მოკლედ, ზესტაფონელთა პრეზიდენტთან სასაუბრო დაგროვდა და გუშინ ამ კონკრეტული საკითხების გარდა, სხვა საინტერესოზეც ვთქვით. მაგალითად, ის, რომ კოკაია მსოფლიოს გრანდის, იტალიური „მილანის“ საწვრთნელი ბაზის ანალოგიურის გაკეთებას „ზესტაფონისთვის“ აპირებს. თუმცა ეს ინტერვიუ, ცხადია, ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული ამბით დავიწყეთ...

ვრცელ დოკუმენტალურ ფილმში

— ამას წინათ „ზესტაფონმა“ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვა. მიზეზად უფულობა ითქვა, თუმცა ორიოდ დღეში ეს პრობლემა მოგვარდა. რა მოხდა? ბევრი ამბობს, რომ თქვენი ამგვარი გადაწყვეტილების რეალური მიზეზი სხვა რამ იყო და არა უფულობა...

— ჩვენს ოფიციალურ განცხადებაში ეწერა, რის გამოც ვფიქრობდით ჩემპიონატის დატოვებას. მე და ჩემი ბიზნესპარტნიორები დავსხედით, ვილაპარაკეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ დროზე გაკლოდით შექმნილ ვითარებას. ჩვენ ჩვენი გათვლები, გეგმები, ნაირ-ნაირი პროექტები გვაქვს, საქმეში ფულს ვდებთ, მაგრამ ვეღარ დავინახეთ ის გზა, რომელიც, ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის წარმატების მომტანი იქნებოდა. ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის რაც იყო ნათქვამი, არ ან ვერ სრულდებოდა. მერე ჩავთვალეთ, რომ ჩვენს უარს დემარშის ფორმა ექნებოდა და... ორი დღის განმავლობაში ინტენსიური მოლაპარაკებები გვქონდა ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელობასთან და საერთო ენა გამოვნახეთ. „ზესტაფონი“ ჩემპიონატში მონაწილეობას აგრძელებს, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები მოხსნილია. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე ვლაპარაკობ, რომელიც უკვე დამტკიცებულია, თუმცა ჯერ რეალურად არ ამოქმედებულა. ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის კარგი იქნება, თუ გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებებიც მოხდება. არ შეიძლება, რომ ფეხბურთის კლუბის პატრონი ორმაგად იბეგრებოდეს. ინვესტორი თავად უნდა იყოს დაინტერესებული, ფეხბურთში ფული დაბანდოს. არის ინფრასტრუქტურული საკითხები, ქვეყნიდან ფეხბურთელთა ქაოსური მიგრაციის საქმეც გამოსასწორებელია... მოკლედ, პერსპექტივა ვერ დავინახეთ და ამიტომაც ვთქვით უარი ჩემპიონატში მონაწილეობაზე, მაგრამ მოგვიანებით, ფედერაციის, პროფლიგისა და სხვა კლუბების ხელმძღვანელებთან საუბარმა დამარწმუნა, რომ ხსენებული პრობლემები მოგვარდება და ფეხბურთის განვითარების პროგრამაც სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს.

— პროგრამის ამოქმედება შეჩერებული რატომ არის?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, იმედი კი მაქვს, რომ მალე ამოქმედდება.

— ისევ თქვენს უარს მივუბრუნდეთ. ისიც ითქვა, რომ „ზესტაფონმა“ ამგვარი გადაწყვეტილება გიორგი განუგრავას ტრანსფერის გამო მიიღო...

— არა, განუგრავა აქ არაფერ შუაშია და ჩვენ ფეხბურთელთან არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. ჩვენ პრეტენზია გვაქვს არალიცენზირებულ აგენტებთან, მათთან, ფეხბურთელებს ფიფა-უეფას წეს-კანონის დაუმორჩილებლად კლუბიდან კლუბში რომ დაატარებენ. ეს ხალხი უნდა ჩამოშორდეს ქართულ ფეხბურთს. თავად განუგრავასთან კი, ვიმეორებ, არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. სხვა საქმეა, რომ მას „ბოლესლავზე“ გაცილებით სახელოვან კლუბში შეეძლო კარიერის გაგრძელება, რისი პოტენციალიც ამ ფეხბურთელს აქვს.

— გოგი ფიფიასა და გიორგი ჭელიძის „ზესტაფონიდან“ შესაძლო წასვლა-გაშვებაზე რას იტყვით?

— წავიდნენ, ჩვენ არც ერთ ფეხბურთელს პრობლემას არ ვუქმნით, ოღონდ წავიდნენ ისე, როგორც ამას კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს. ჩვენ მაღალი დონის კლუბის გაკეთება გვსურს და ასეთი პოლიტიკა გვაქვს: არ გვჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ჩემოდანი ჩალაგებული აქვთ და თვალი გაქცევაზე უჭირავთ. კი ბატონო, ფიფასა და უეფას წეს-კანონებით გადაიხადონ საკომპენსაციო თანხა. არის მეორე ვარიანტიც, დაელოდონ კონტრაქტის ამოწურვას და მესამეც — იჯარა. ოღონდ, რა ვადითაც იჯარით სხვა კლუბებში ითამაშებენ, ის პერიოდი „ზესტაფონთან“ მოქმედ კონტრაქტს დაემატება. იყო აგერ ფიფია „დნიპროში“, მაგრამ რატომ არ დაიტოვეს?! „დნიპროს“ პატრონი ჩემი ერთ-ერთი ბიზნესპარტნიორია, ხოლო მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა თავად მითხრა, ამ ბიჭს ყველაფერი აქვს დიდი ფეხბურთის სათამაშოდ, მაგრამ შრომისმოყვარე არ არის და ასეთი ფეხბურთელი არ მჭირდებაო. „დნიპრომ“ აიყვანა სანდრო კობახიძე, რის სანაცვლოდაც „დინამომ“ სოლიდური თანხა მიიღო, მაგრამ არ აიყვანა ფიფია. რატომ? — უკვე გითხარით. სხვათა შორის, აგენტების გამო კობახიძის ტრანსფერიც ჩაშლის პირას იყო.

— არალიცენზირებულ აგენტებზე როცა საუბრობთ, იქნებ გვითხრათ, ვის გულისხმობთ. ვინ წაიყვანა, მაგალითად, განუგრავა „ბოლესლავში“?

— განუგრავას ბედით გაიოზ დარსაძე ჟონგლიორობდა. ის, თავის დროზე, გავაფრთხილე კიდეც, რომ ამის უფლება არ აქვს. ფეხბურთელს გუნდიდან გუნდში გადასვლას ვერავინ დაუშლის, ის კი, ვინც მას გზას ურევს, ფეხბურთს უნდა ჩამოშორდეს. ჩვენ ყველას პრობლემას შევუქმნით, ვინც ფეხბურთელთა შეცდომაში შეყვანასა და გუნდიდან გუნდში ბნელი გზებით წაყვანას შეეცდება.

— ეს პრობლემა როგორ უნდა მოგვარდეს?

— ხომ გითხარით, ეს ხალხი ფეხბურთს უნდა ჩამოვაშოროთ და არ მივცეთ უფლება, ფეხბურთელები ასე უგზო-უკვლოდ, გუნდიდან გუნდში ატარონ და მერე მათი კარიერა საფრთხეში ჩააგდონ...

— კარგით. სატრანსფერო ამბებზე მომავალში ალბათ კიდევ ვისაუბრებთ. ახლა „ზესტაფონის“ საკლუბო ინფრასტრუქტურაზე გვითხარით. როგორც ვიცით, საწვრთნელი ბაზის შენება ჯერ კიდევ არ დაგიწყიათ...

— ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენ, რაც ჩაფიქრებული გვაქვს და რაც კლუბის განვითარების გენერალურ გეგმაში წერია, ყველაფერს გავაკეთებთ. სტადიონსაც უფრო გავაკოხტავებთ და სხვა საქმეებსაც მოვაგვარებთ, მაგრამ, ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის ეს არაფერი იქნება, თუ სახელმწიფოს ხელშეწყობა არ გვექნება, თუ ინვესტორი არ დაინტერესდება, თუ ფეხბურთის განვითარების პროგრამა არ ამოქმედდა. აგერ, მაგალითად, რაღაც ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ოთხი თვეა, ვერ გაკეთდა ის საბუთები, რის შემდეგაც მიწის ნაკვეთის შესაძენად ტენდერი უნდა ჩატარდეს. ჩვენ გვსურს ნაკვეთის შესყიდვა და იქ თანამედროვე საწვრთნელი ბაზის აშენება. სხვათა შორის, ამას წინათ კახა კალაძის დახმარებით, „მილანის“ ბაზა დავათვალიერე და გადავწყვიტე, რომ ზუსტად ისეთივე გავაკეთოთ „ზესტაფონისთვის“. სხვაობა მხოლოდ სავარჯიშო მოედნების რაოდენობა იქნება, მილანელოს ბაზაზე ცხრა მოედანია, ჩვენ ხუთი გვექნება. სხვა მხრივ კი, „ზესტაფონიც“ „მილანის“ დარი ბაზით იამაყებს, ოღონდ... გავიმეორებ, რომ ხელშეწყობა გვჭირდება და ძალიან დიდი იმედი მაქვს, სახელმწიფო პროგრამაც მალე რეალურად იმოქმედებს ჩვენი ფეხბურთის განვითარებაზე.

— როდის დაიწყებთ მშენებლობას?

— მეორე დღესვე, როგორც კი მიწის ნაკვეთი ჩვენი იქნება. მოსავარია, სახელმწიფოსგან ხელშეწყობა იყოს, ინვესტორები პირობებით დავაინტერესოთ და საკლუბო ინფრასტრუქტურა თავისთავად განვითარდება, საქმის კეთების მეტი ხალისი იქნება და აღარც ფეხბურთელებს ექნებათ თვალი გაქცევაზე.

— წმინდა სპორტულ მხარეზე რას იტყვით? „ზესტაფონს“ ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს...

— შანსი კი გვაქვს, მაგრამ, მერე რა?! ვითამაშოთ ევროტურნირზე და მერე იქ შარშანდელივით შევრცხვეთ?! არ მინდა! მირჩევნია, გუნდი კარგად მოემზადოს, ფეხბურთელებმა ოსტატობა აიმაღლონ, ჩამოყალიბდნენ და ევროპაში ანგარიშგასაწევი გუნდი მივიღოთ. აღარც ის მინდა, სანახევროდ მომზადებული, ან სულაც მოუმზადებელი ფეხბურთელი მოვიდეს და კონტრაქტის დარღვევა მთხოვოს. მოემზადონ, ჯერ აქ გაიზარდნონ და მერე ხომ თავადაც და ქარიელი გუნდებიც მაღალ დონეზე ითამაშებენ. მსურს, რომ „ზესტაფონმა“ საკუთარი და ქვეყნის სახელი ევროპაში ღირსეულად წარმოაჩინოს და არა, როგორც „ტობოლოთან“ შეხვედრისას. ჩვენ შორსმიმავალი გეგმები გვაქვს და ამის ერთ-ერთი დასტური ისიც არის, რომ მწვრთნელ თემურ მახარაძეს 5-წლიანი კონტრაქტი გავუფორმეთ. მას საშუალება მივეცით, თავისი ცოდნა და ნიჭი ბოლომდე გამოავლინოს და გუნდი ისე მოამზადოს, ევროპაში თამაშის არ შეგვრცხვეს.

— ამას წინათ გოჩა ჯაბარაულმა, მიხეილ ყაველაშვილმა და ლევან ყოფიანმა მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთი“ რომ დააარსეს, ამის თაობაზე რას იტყვით?

— პრობლემას ვერ ვხედავ ამ გაერთიანების შექმნაში, მოსავარია, რა შეიცვლება და მომავალში რა იქნება. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რა გვინდა და რატომ... გავიმეორებ, სასურველია, რომ შეიცვალოს საკანონმდებლო ბაზა, ინვესტორებს დაინტერესება ჰქონდეთ, ამოქმედდეს ფეხბურთის განვითარების პროგრამა... ისე კი, როცა ასეთი გაერთიანება თუ მოძრაობა იქმნება, აჯობებდა, მათ ჩვენთვისაც ეკითხათ აზრი, იქნებ რას ვეუბნებოდით, იქნებ ამ დიალოგში რაღაც უკეთესი, ყველასთვის სასარგებლო რამ მოვიფიქროთ... ჩემი კარი ღიაა და ქართული ფეხბურთის განვითარებაზე ლაპარაკს წინ რა უდგას... ჩვენ ვართ ქართულ ფეხბურთში და ვფიქრობ, ჩვენი მოსაზრებებიც საინტერესო უნდა იყოს. აბა, სხვის ყურება სასიამოვნო სულაც არ არის.

კოგა ინასარიძე

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 14 ტურ

ვერაგან დოლოდგა ბვილის ფოტო

იცოდე, ვისი კარისა ხარ

ვიტ ჯორჯიამ კენწეროს გაასამა

ეროვნული ჩემპიონატის მთელი პირველი წრე ისე გაილია, ლიდერებმა და უდავო ფავორიტებმა, „დინამომ“ და „ზესტაფონმა“ სხვა გუნდებთან შეხვედრებში ოდენ ერთი მატჩი წააგეს, სხვა სიტყვებით: 1 წაგება 24 თამაშში ორივე გუნდისთვის ერთად.

და აი, დაიწყო მეორე წრე და, ლიდერებმა, თითქოს შეხმატკბილებულად დაკარგეს სამ-სამი ქულა...

ლიდერთა მარცხმა პირველი შედეგი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, უკვე მოიტანა: ჩემპიონობის ორ უდავო ფავორიტს მესამეც შეემატა — „ვიტ ჯორჯია“.

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, განახლებული სეზონის პირველი მატჩი „ბათუმი“ — „დილა“ გახლდათ და ამ თამაშის პრინციპულობაში დასარწმუნებლად ცხრილში ჩახედვაც საკმარისია. გუნდებს, რომლებიც ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან, საამისოდ საჭირო ქულების დაგროვება, უპირველესად, ურთიერთშეხვედრებში მართებთ.

თუმცა თამაში იხეთი გამოდგა, მთავარი ამბავი არასაფეხბურთო იყო: ბათუმელი ბესიკ დემურაძე მეორე ტაიმში მეტოქეს შეეჯახა და უგონოდ დაეცა. თამაში შეჩერდა და ფეხბურთელის მოსულიერებას ათი წუთი და ორივე გუნდის ექიმების გარჯა დასჭირდა. ბოლო კი სანუგეშო იყო — დემურაძე ტვინის შერყევით გადარჩა.

ამ მატჩის დაწყებიდან ათი წუთის დაგვიანებით კი ტურის მთავარი მატჩთაგანი დაიწყო. დავით დევდარიანი, ალექსანდრ ომელიანოვი, ნიკა სტეფანიშვილი — „დინამოს“ დამარცხება ამ ოლიმპელ ბიჭებს მიეწერათ და დამსახურებულადაც. აქვე გავიხსენოთ, რომ რამდენიმე დღით ადრე „დინამომ“ ვერც ცხინვალის „სპარტაკს“ მოუგო საქართველოს თასზე და... თუმცა, მოდით, ნუ აეჩქარდებით და დინამოელთა ჩავარდნასა თუ კრიზისზე ნუ ვილაპარაკებთ, მით უმეტეს, რომ „დინამო“, წაგების მიუხედავად, ლიდერად დარჩა.

ხოლო თუ ერთი კონკრეტული თამაშის ფარგლებს გავცდებით და უფრო გლობალურ ამბებზე გავამახვილებთ ყურადღებას, „დინამო“ — „ოლიმპის“ ტელერეპორტაჟზეც უნდა ვთქვათ. ეს იყო პირველი თამაში, რომელიც „კოლხიდამ“ გადასცა და ჩვენი აზრით, ხარისხიანადაც.

მეორე დღეს, კვირას, მცხეთაში შეიძლებოდა, ლიდერის შეცვლის მომსწრენი გავმხდარიყავით. ამისთვის „ზესტაფონს“ „ვიტ ჯორჯია“ უნდა დაემარცხებინა.

ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ზესტაფონელები უძველეს საატახტო ქალაქში შეფერხებით ჩავიდნენ დიდთოვლობის გამო და შემადგენლობაც შესუსტებული ჰყავდათ: გიორგი ჭელიძე, გოგი ფიფია, პოლ კესანი, ნიკა გელაშვილი და ჟილვან ვიეირა მიზეზთა გამო არ თამაშობდნენ. ოღონდ ისეც არ გამოგვივიდეს, რომ მატჩის შედეგი ოდენ ამ მიზეზებმა განაპირობეს. ბოლოს და ბოლოს, „ვიტ ჯორჯია“ ერთადერთი გუნდია ამ სეზონში, ზესტაფონიდან ორი ქულა რომ წაიღო.

„მერანის“ სტადიონზე კი საქართველოს ნაკრები და თბილისის „დინამო“ შეხვდნენ... აბა, სხვანაირად როგორ ვთქვათ, როდესაც მერანელთა მეკარე რევაზ თევდორაძეს, უკვე ტრადიციულად, ეროვნული ნაკრების მაისურა ეცვა,

კახა კალაძე 30 წლისაა

კახა კალაძე: საუკეთესო საჩუქარს ნაკრებისგან ველი

მილანელი იუბილარი ხუთ წელიწადს კიდევ ითამაშებს

გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტანი და „მილანის“ მცველი კახა კალაძე 30 წლის გახდა. ვარსკვლავები ასეთ თარიღებს, ზოგადად, პომპეზურად აღნიშნავენ. კალაძესაც თითქოს ამაში ხელს არაფერი უშლის, მაგრამ მისმა 30-ე დაბადების დღემ მაინც უხმაუროდ ჩაიარა, რადგან „მილანს“ გუშინ გვიან ღამით სერია A-ს მატჩი ჰქონდა „კატანიასთან“. მართალია, ამ მატჩში ტრავმის გამო კალაძეს არ უთამაშია, მაგრამ თანაგუნდელების მოუცლელობის გამო დაბადების დღის აღნიშვნა სადღეისოდ გადადო...

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის! დღეს, რასაც ჰქვია, ჩემი მობილური ტელეფონი ადუღდა. იმდენი მოლოცვა მოვიდა, რომ ყველას ველარც ვიმახსოვრებ — გვითხრა კახა კალაძემ, გუშინ იტალიაში რომ დავუკავშირდით.

— მილანელებმა უკვე მოგილოცეს? როგორც ვიცით, დაბადების დღეზე კლუბი იუბილარს საგანგებო ტორტს უმზადებს...

— დილით უკვე ყველა თანაგუნდელმა მომილოცა, საქართველოდან და უკრაინიდანაც დამირეკეს მეგობრებმა. გიორგი დემეტრაძეს ლამის ერთი საათი ველაპარაკე. ტორტი კი არ მოურთმევიათ, ასეთი რამ აქ იშვიათობაა და თანაც საიმისო დრო არ არის — ღამით პრინციპული თამაში გვაქვს.

— მატჩის შემდეგ დაპატიჟებ თანაკლუბელებს?

— არა, რადგან თამაში ძალიან გვიან დასრულდება და ბიჭებს საამისოდ აღარ ეცლებათ. ხვალ კი მსუბუქი ვარჯიში გვაქვს და შემდეგ შეიძლება ვახშამზე დავპატიჟო მილანელები, ოღონდ, ცხადია, ალკოჰოლს არ დავლევთ. დაძაბული სეზონი გვაქვს და ამის დრო ჯერ არ არის.

— საქართველოდან თუ ჩამოვიდნენ ოჯახის წევრები?

— არა, ეს დაბადების დღე ჩემი ოჯახის წევრების გარეშე ჩაივლის. ისე კი, ცხადია, მომილოცეს.

— 30 წლის გახდი და კარიერის უმეტესი ნაწილი უკვე გალიე...

— სულ ცოტა, კიდევ ხუთ წელს ვაპირებ თამაშს და აუცილებლად „მილანში“. სხვაგან წასვლას არ ვაპირებ, არც მიღწეულზე შევჩერდები. დარწმუნებული ვარ, „მილანთან“ ერთად კიდევ ბევრ თასს მოვიგებ. საქართველოს ნაკრებში კი ყველაფერი წინ გვაქვს, ჩემთვის ყველაზე კარგი საჩუქარი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იქნება. ეს ჩემი ოცნებაა.

— წლევანდელ სეზონში „მილანი“ არასტაბილურად თამაშობს. ამის მიზეზი რა არის?

— ჩავარდნა სეზონის დასაწყისში გვქონდა, ახლა კი გუნდი ათამაშდა და თავის თავი იპოვა. ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ სტუმრად მართლაც კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით დაცვაში და საპასუხო მატჩის წინ ფავორიტებიც ჩვენ ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ „არსენალს“ მოვუგებთ და მომდევნო ეტაპზე გავალთ. მართალია, სერიოზული მატჩი გველის, მაგრამ გუნდი ფორმაშია და თან შინ ვთამაშობთ. რაც შეეხება სერია A-ს, აქაც კარგად მიგვდის საქმეები. ჩემპიონობა პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან „ინტერთან“ ცხრამეტქულიან ჩამორჩენას ნაღდად ვერ ამოვქაჩავთ, ჩემპიონიც ალბათ „ინტერი“ გახდება, ჩვენ კი მეორე ადგილზე გასვლის შანსი გვაქვს და ამისთვის ვიბრძოლებთ.

ბაჩო სვანიძე

ყარაგანდამ თურქეთი დახურა



რევაზ ძოძუაშვილის ყარაგანდის „შახტიორმა“ თურქული შეკრება დაასრულა.

ყარაგანდელებმა ყაზახეთში დაბრუნების წინ ორი საკონტროლო მატჩი გამართეს ტოლიატისა და სანკტ პეტერბურგის „სპორტაკადემიასთან“.

სანკტპეტერბურგელებთან „შახტიორი“ 1:2 დამარცხდა — ამ მატჩში ლაშა ნოზაძემ სრულად ითამაშა, ლევან მელქაძე კი მეორე ტაიმში შევიდა.

ტოლიატელებთან კი ძოძუაშვილის შეგირდებმა 3:0 მოიგეს — მელქაძეს არ უთამაშია, ნოზაძე კი მეორე ტაიმში გამოჩნდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ოთარ მარცვალაძე დინამოში დაბრუნდა

უკრაინულმა „ხარკოვმა“ ოთარ მარცვალაძეზე უარი თქვა და ქართველი ფეხბურთელიც კიევის „დინამოს“ დაუბრუნდა.

23 წლის ჩვენიანი თავდამსხმელი „ხარკოვში“ გასინჯვაზე იყო, მხოლოდ ერთ საკონტროლო მატჩში ითამაშა, შემდეგ კი ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, ოპერაცია გაეკეთებინა. ვლადიმირ ბესონოვმა კი საქმეში უნახავი ფეხბურთელის გუნდში აყვანა საჭიროდ არ ჩათვალა.

მარცვალაძემ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, სარეაბილიტაციო კურსს გადის და მისი დასრულების შემდეგ კიეველთა ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ფეხბურთელის ბედს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ვლადიმირ ბესონოვმა ალადაშვილი შეაქო

უკრაინული „ხარკოვის“ თავკაცმა ვლადიმირ ბესონოვმა ქართველი ახალწვეული კახა ალადაშვილი შეაქო.

ალადაშვილი ამ ზამთარს შეუერთდა გუნდს, ტესტ-მატჩებში ერთერთი საუკეთესო იყო ხარკოველთაგან და გუშინწინ ექვსთვიანი კონტრაქტიც გააფორმა კლუბთან.

„ალადაშვილი სწრაფი და ამტანი ფეხბურთელია. აქვს კარგი დარტყმა, მაღალი სარგებლიანობა და კავკასიური ტემპერამენტი“ — უთხრა ბესონოვმა უკრაინელ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ ალადაშვილი ჯერაც კიევის „დინამოს“ საკუთრებაა და „ხარკოვში“ განათხოვრებით ითამაშებს.

კახა შალამბერიძე

მუჯირი გამოვიდა, გოგობერიშვილი დარჩა

აზერბაიჯანული „ბაკის“ ქართული ლაზარეთი განახევრდა — ამირან მუჯირი, რომელმაც ბოლო ტურის მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, გამოჯანმრთელდა და მომდევნო ტურში „ინტერის“ წინააღმდეგ სათამაშოდ მზად არის.

რაც შეეხება „ბაკის“ მეორე ქართველ ალექსანდრე გოგობერიშვილს, მისი ტრავმა უფრო რთულია და გუნდს კიდევ ორი კვირა ვერ დაეხმარება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კახა ცხადაძემ აზერული ანტირეკორდი გაიმეორა

ქართველმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ აზერბაიჯანში ანტირეკორდი გაიმეორა — იგი მეორე უცხოელია, საწყის ორ ტურში უქულოდ რომ დარჩა.

2004-05 წლების სეზონში მსგავსი სტარტი ჰქონდა „გენჩლერბირლიგის“ ფრანგ თავკაც ადელ ამრუშს.

ცხადაძემ ბაქოს „სტანდარდი“ ორიოდ თვის წინ ჩაიბარა და მეორე წრე ორი მარცხით დაიწყო — „გაბალასთან“ 0:1, „ინტერთან“ 1:2.

მომდევნო ტურში ცხადაძის „სტანდარდი“ სტუმრად „მასალის“ შეხვდება.

კახა შალამბერიძე

კაუნასმა მხოლოდ ხუბუტია გამოაჩინა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „კაუნასმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ლიტველები უკრაინის ქვედალიგელ „ჰელიოსს“ 3:3 ეთამაშნენ.

ქართველთაგან მოედანზე მხოლოდ აკაკი ხუბუტია იყო, რომელმაც 90 წუთი ითამაშა, ნუკრი მანჩხავას თამაში მწვრთნელმა საჭიროდ არ მიიჩნია, გივი კვარაცხელიას კი ჯერაც ტრავმა აწუხებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

იტალია

სერია A. XXV ტური

იუვენტუსი 0:0 ტორინო

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, პალადინო (ნოჩერინო 63), კამორანეზი, სისოკო, ნედვედი, დელ პიერო, იაკვინტა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ტორინო: სერენი, კომოტო, ნატალი (დელაფიორე 27), დი ლორეტო, პიზანო, დიანა (როზინა 48), გრელა, ბარონე, პ. ძანეტი, სტელონე, რეკობა (ლანა 81)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კიელინი, პალადინო, რეკობა, ნოჩერინო, პიზანო, დელაფიორე
გაძევება: ნედვედი (90)
მსაჯი: რიცოლი
25 000 მაყურებელი

თმებს ნუ მქაჩავ, ბიჭო!
ნედვედი გოგო ყოფილა

„დერბი დელა მოლე“, ანუ თამაში, რომელსაც სრულიად ტურინი მოუთმენლად ელოდა, ფრედ 0:0 მორჩა, რამაც ნომინალური მასპინძელი „იუვენტუსი“ უფრო გააღიზიანა, ვიდრე „ტორინო“. საერთოდ, ასეთი მატჩების წინ ამბობენ ხოლმე, თანაქალაქელთა თამაშისას ყველაფერია მოსალოდნელი, ანუ ვინ ძლიერია და ვინ სუსტი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, სუსტი თავს შეაკლავსო. ბოლოს და ბოლოს, პრესტიჟის ამბავია, დერბია...

მწირმომენტებიანი მატჩის ყველაზე სახალისო ეპიზოდი ბოლოს იყო, როცა პაველ ნედვედმა კურიოზულ ვითარებაში გააგდებინა მსაჯს თავი. რა უნდოდა, რას ერჩოდა ჯანლუკა კომოტოს, მგონი, თავადაც არ იცის. მოედნიდან ვინ არ გაუძევებიათ, მაგრამ ძნელად, რომ ასეთი რამ ვინმეს ჩაედინოს. მოკლედ, ნედვედი უკნიდან მიეპარა კომოტოს, ხელი თმებში ჩაავლო და მინდორზე ისეთი ძალით დაანარცხა... იქვე მყოფ არბიტრ ნიკოლა რიცოლისაც მეტი რა უნდოდა, ადგა და, პირდაპირ წითელი ბარათი აუფრიალა ჩეხს, თან სამართლიანად.

ახლა რაც შეეხება თავად მატჩს, რომელმაც მოლოდინი ნამდვილად ვერ გაამართლა. „იუვეც“ და „ტორინოც“ რაღაც უფანტაზიოდ, უჯიგროდ თამაშობდნენ. თითქოს „იუვეს“ უნდა შეეტია, მაგრამ თავს არ იკლავდა შეტევებით, „ტოროს“ კი, რაც შეეძლო, იმას თამაშობდა.

„ოლიმპიკოს“ ტრიბუნებმა პირველად პირველი ტაიმის ბოლოს იხუჯლეს, როცა მატეო სერენმ ვინჩენცო იაკვინტას საშინელი თავური კუთხურზე დიდი გაჭირვებით გადაგდო. მეორე ტაიმში „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანმა ალექს დელ პიერომ სცადა გატანა, თავისი საფირმო ჯარიმა შეასრულა, თუმც აქაც სერენმ იყოჩაღა — ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია ბურთი იმავ კუთხურზე.

„ტორინო“ შეცვლაზე შესულმა ალესანდრო როზინამ ოდნავ გამოაცოცხლა, შეტევებიც გამწვავდა და ერთ მომენტში კინაღამ დააწინაურა თავისიანები — ჯარიმისას ბურთი ისე გადაატარა ცოცხალ კედელს, გახევებულ ბუფონს მშველელად ხარიხაღა მოევლინა.

„უკმაყოფილო ვარ. ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც საჭირო იყო და ქულაზე მეტიც იმიტომ ვერ ავიღეთ. მომო სისოკოს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ დღეს ნათლად გამოჩნდა, თუ რამხელა ძალაა ჩვენთვის კრისტიანო ძანეტი. იგი რომ მყოლოდა, ჩვენი ნახევარდაცვა დღეს ასეთი სუსტი არ იქნებოდა“ — განუცხადა ნამატჩევს „სკაი იტალიას“ „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

სამაგიეროდ, კმაყოფილებას ვერ მალავდა „ტორინოს“ თავკაცი ვალტერ ნოველინო — ოდნავ უკეთ რომ გვეთამაშა, ვინძლო მოგვეგოო.

და ნიკოლა რიცოლი, მატჩის არბიტრი? „იუვენტუსი“ რომ ბოლოხანს მსაჯებზე გამწყრალია, გეცოდინებათ და ამ მატჩის მერე „იუვეს“ ბოსებს რიცოლიზე აუგი არ დასცდენიათ, ერთი შეხედვით, ძნელი მატჩი ნორმალურად განსაჯა, სადავეები ხელიდან არ გაქცევია და ბოლოს ნედვედი სამართლიანად გააძევა.

გიორგი ვაზაკიძე

პაველ ნედვედი ჯანლუკა კომოტოს ჯერ გაექცა, მერე კი დაეწია და...

ინტერი	24	18	6	0	49:14	60
რომა	24	15	6	3	41:23	51
იუვენტუსი	25	13	9	3	44:21	48
მილანი	24	11	8	5	36:18	41
ფიორენტინა	24	11	8	5	36:23	41
უდინეზე	24	10	6	8	31:33	36
სამპდორია	24	10	5	9	31:27	35
ჯენოა	24	8	8	8	28:33	32
ატალანტა	24	7	10	7	36:37	31
პალერმო	24	8	7	9	32:40	31
ნაპოლი	24	8	6	10	36:38	30
ტორინო	25	4	15	6	27:30	27
ლაციო	24	6	8	10	27:32	26
ემპოლი	24	6	7	11	21:30	25
კატანია	24	5	8	11	20:30	23
ლივორნო	24	5	8	11	26:38	23
სიენა	24	4	10	10	27:34	22
პარმა	24	4	10	10	29:37	22
რეჯინა	24	4	9	11	21:38	21
კალიარი	24	4	6	14	19:41	18

სერია B
გადადებული მატჩი

ასკოლი 0:1 ბრეშა

კიევო	27	17	6	4	49:29	57
ბოლონია	27	16	8	3	37:16	56
ლეჩე	27	16	7	4	44:17	55
ალბინოლეფე	27	16	7	4	46:22	55
ბრეშა	27	16	5	6	44:24	53
პიზა	27	15	8	4	46:29	53
რიმინი	27	13	6	8	38:24	45
მანტოვა	27	12	6	9	40:33	42
მესინა	27	11	5	11	24:37	38
ასკოლი	27	9	10	8	35:27	37
ფროზინონე	27	10	6	11	37:41	36
მოდენა	27	9	8	10	37:35	35
ბარი	27	7	10	10	32:41	31
ტრიესტინა	27	7	9	11	29:41	30
გროსეტო	27	6	10	11	24:38	28
პიაჩენცა	27	8	3	16	22:37	27
ტრევიზო	27	6	7	14	29:38	25
ვიჩენცა	27	5	9	13	26:42	24
აველინო	27	5	7	15	25:41	22
სპეცია	27	4	9	14	29:43	21
ჩეზენა	27	3	11	13	24:42	20
რავენა	27	4	7	16	32:52	19

გიჟი ვარ?

„ფიორენტინას“ ... ფრენდ ... სებასტიან ფრენდ ... ზაფხულში „მილანში“ გადასვლის თაობაზე. ამბობდნენ, ფრანგმა მილანში სახლი იყიდა და კლუბსაც გამოიცვლისო, მაგრამ ფრეიმ თქვა: „ბევრი ფეხბურთელი ვიცი, რომლებიც დიდი ამბით გადავიდნენ სხვა გუნდში, მაგრამ ექვს თვეში დაიკარგნენ. მე ამ კატეგორიიდან არ ვარ. „ფიორენტინადან“ მაშინ არ წავსულვარ, როცა კალჩოპოლის გამო სერია B-ში ჩაქვეითება გვემუქრებოდა და გიჟი უნდა ვიყო, რომ ახლა წავიდე. უეფას თასის მერვედფინალში ვართ და ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ვიბრძვით. ასეთ დროს გუნდი რატომ უნდა მივატოვო?“

ავსტრია

ბუნდესლიგა. XXVI ტური

პაშინგი 0:2 შტურმი

ლინცერი	25	11	8	6	40:30	41
აუსტრია	25	10	11	4	33:23	41
შტურმი	26	10	10	6	46:28	40
ზალცბურგი	25	11	7	7	41:29	40
რაპიდი	25	11	6	8	40:31	39
მატერსბურგი	25	8	11	6	42:34	35
რიდი	25	9	5	11	31:36	32
ალტახი	25	6	9	10	27:40	27
ტიროლი	25	5	8	12	22:40	23
პაშინგი	26	5	5	16	19:50	20

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები

ბარნსლი 0:0 ძუინზ პარკი

ბარნლი 2:0 ძოვენთრი

პრესტონი 2:0 სტოკი

სტოკი	35	17	11	7	59:45	62
ბრისტოლი	34	17	10	7	42:40	61
უოტფორდი	34	17	9	8	54:40	60
ვესტ ბრომვიჩი	33	16	7	10	67:42	55
პლიმუთი	34	14	10	10	45:33	52
ჩარლტონი	34	14	10	10	49:41	52
იფსვიჩი	34	14	9	11	51:42	51
ჰალი	33	13	11	9	41:37	50
ბარნლი	34	13	11	10	47:44	50
ვულვზი	33	12	11	10	32:34	47
კრ. პალასი	34	11	13	10	38:35	46
ნორვიჩი	34	12	9	13	33:41	45
კარდიფი	33	11	11	11	42:41	44
ბლეკპული	34	10	12	12	46:45	42
ქუინზ პარკი	34	10	11	13	43:50	41
ბარნსლი	34	10	11	13	37:50	41
შეფილდი	33	9	13	11	35:37	40
ქოვენთრი	33	11	6	16	36:48	39
საუთჰემპტონი	34	10	9	15	43:56	39
ლესტერი	34	8	13	13	33:33	37
პრესტონი	34	10	7	17	33:40	37
უენსდი	32	10	5	17	34:40	35
კოლჩესტერი	33	6	14	13	46:54	32
სკანთორპი	34	7	11	16	32:50	32

გერმანია

თასის მეოთხედფინალი

დორტმუნდი 3:1 ჰოფენჰაიმი

1:0 ფედერიკო (20), 2:0 ტინგა (23), 2:1 კოპადო (38პ), 3:1 პეტრიჩი (54)
დორტმუნდი: ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, კოვაჩი, დედე, კელი (კლიმოვიჩი 76), ტინგა, კრუშა (ჰუმელსი 70), ფედერიკო (ბაკლი 70), ფრაი, პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი

შტუტგარტი 2:2დ.დ.(4:5პ) კარლ ცაისი

0:1 ვერნერი (32), 1:1, 2:1 გომესი (81, 94), 2:2 მიულერი (120)
შტუტგარტი: ულრიხი, ბეკი (ბოკა 46), ფმეირა, დელპიერი, მანინი (და სილვა 72), პარდო, ჰილბერტი, ჰიცლშპერგერი, ბაშთურქი, გომესი (ხედირა 117), კაკუ
მწვრთნელი: არმინ ფეე
კარლ ცაისი: ხომუტოვსკი, ა. მაული, რ. მიულერი, შტიგმაიერი, ჰოლენერი, ციგნერი, კიონე (საკა 106), ვერნერი, შიმაკი, პეტერსენი, შიდი (ამრჰაინი 78)
მწვრთნელი: ჰენინგ ბიურგერი
გაფრთხილება: მეირა, მიულერი, გომესი
მსაჯი: კინჰოფერი
18 500 მაყურებელი

კარლ ცაისი ისევ ქუხს

აი, სენსაცია: ერთ დროს მქუხარე და მხოლოდ თბილისის „დინამოსთვის“ კი არა, სრულიად ქართული ფეხბურთისთვის ტკბილად მოსაგონარი იენის „კარლ ცაისი“ გერმანიის თასის ნახევარფინალშია. მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე იენურმა კლუბმა გუშინწინ არც მეტი, არც ნაკლები, ჩემპიონი „შტუტგარტი“ მისსავე მოედანზე მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში დამარცხა.

„კარლ ცაისი“ 31-ე წუთზე თომას ვერნერმა დააწინაურა და ბოლო 9 წუთიც რომ გაეძლო, ჩემპიონს ძირითად დროშივე გააკრავდა ბეჭებზე, მაგრამ 81-ეზე მარიო გომესმა გაათანაბრა. დამატებითი დროის მე-4 წუთზე გომესმა მეორეც შეუგდო სტუმრებს და, თითქოს, მატჩიც ასე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იენელმა რენე მიულერმა არ ინება ასე — 120-ე წუთზე სტატუს-კვო აღადგინა. პენალტები კი სტუმრებმა უკეთ დაარტყეს, 5:4 მოიგეს და ნახევარფინალშიც დამსახურებულად გავიდნენ. სამწუხაროდ, ამ ტრიუმფში მონაწილეობა ვერ მიიღეს „კარლ ცაისის“ ქართველებმა — გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი და ილია კანდელაკი მწვრთნელმა ჰენინგ ბიურგერმა არ ათამაშა.

გუშინწინ გამართულ მეორე მეოთხედფინალურ მატჩში კი „დორტმუნდმა“ უპრობლემოდ სძლია „ჰოფენჰაიმს“ 3:1. გერმანიის თასის კიდევ ორი მეოთხედფინალური მატჩი წუხელ გვიან დამთავრდა და მათ შედეგებს დღევანდელი „სარბიელის“ მე-2 გვერდიდან შეიტყობთ.

გიორგი ვაზაკიძე

ლიბერტადორესის თასი 2008

I ჯგუფი. II ტური

კარაკასი 2:1 რეალ პოტოსი

1:0 რენტერია (3), 2:0 რ. ვარგასი (38), 2:1 გალინდო (74)

კარაკასი (ვენესუელა)	2	2	0	0	4:1	6
კრუზეირო (ბრაზილია)	2	1	1	0	3:0	4
სან ლორენსო (არგენტინა)	2	0	1	1	0:2	1
რეალ პოტოსი (ბოლივია)	2	0	0	2	1:5	0

II ჯგუფი. II ტური

ესტუდიანტესი 0:0 ლანუსი

ლანუსი (არგენტინა)	2	1	1	0	3:1	4
დეპორტივო კუენსა (ეკვადორი)	2	1	1	0	1:0	4
ესტუდიანტესი (არგენტინა)	2	0	1	1	0:1	1
დანუბიო (ურუგვაი)	2	0	1	1	1:3	1

V ჯგუფი. II ტური

დეპორტივო სან მარტინი 0:1 უნივერსიდად კათოლიკა

0:1 ბოტინელი (30)

ამერიკა (მექსიკა)	1	1	0	0	2:1	3
დეპორტივო სან მარტინი (პერუ)	2	1	0	1	2:1	3
უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)	2	1	0	1	2:2	3
რივერ პლეიტი (არგენტინა)	1	0	0	1	0:2	0

ფაბიო კანავარო: ჩემპიონატს მაისში იგებენ და არა თებერვალში

ფაბიო კანავარო არ ღელავს. მრავალნაცადი იტალიელი გუნდისა და მწვრთნელის შესაძლებლობებში ძველებურადაა დარწმუნებული და აცხადებს, რომ მადრიდის „რეალი" ისეთივე მონდომებულია, როგორც პირველ წრეში. გარდა ამისა, „რეალის" ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში „სამეფო კლუბის" ცენტრალური მცველი აღნიშნავს, რომ ფეხბურთელები მხოლოდ საკუთარ თამაშზე არიან კონცენტრირებულნი და მეტოქეებზე არც ფიქრობენ...

— როგორც უგამოცდილესი ფეხბურთელი, რა შეფასებას აძლევთ კვირას განცდილ მარცხს?

— ამის ახსნა შეუძლებელია. უბრალოდ, შევცდით. ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვას. მოდით, აქ ვარიანტების ძიებაზე ვისაუბროთ და არა იმაზე, თუ ვინ მეტად შეცდა და ვინ ნაკლებად...

— ალბათ, მატჩის შემდეგ თანაგუნდელებს გაესაუბრებოდით...

— უსამართლობაა, როცა მთელი მატჩის განმავლობაში იბრძვი, მის მსვლელობას აკონტროლებ, მეტოქეს ყველა კომპონენტში აღემატები და ასეთ სულელურ გოლს უშვებ. მართალია, „ხეტაფემ" ჩინებულად ითამაშა, მაგრამ იმ კურიოზული გოლის მეტი ვერაფერი შექმნა.

— თქვენი აზრით, ჩემპიონატის ამ ურთულეს მომენტში ძირითადი ტვირთი ვეტერანებმა უნდა ზიდოთ?

— ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და მის განმავლობაში ხან ყველაფერი გამოგვივა, ხან რაღაცას ვერ შევძლებთ. კვირას სწორედ ასეთი რამ მოხდა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ, ვეტერანებს ახალგაზრდების დამშვიდება გვმართებს. ღიმილით უნდა ვივარჯიშოთ და ვითამაშოთ და ამით ნაკლებად გამოცდილ თანაგუნდელებს მაგალითი მივცეთ.

— როგორ ემზადება გუნდი კონკრეტული მატჩისთვის? მეტოქეებზე ფიქრობს, თუ საკუთარ თამაშზე?

— ვიცით, რომ ყველაფერი მხოლოდ ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული. აქამდე „რეალის" სანახაობრივ თამაშზე საუბრობდნენ, ახლა კი, როცა წავაგეთ, ყველა ისე ალაპარაკდა, თითქოს „რეალს" ჩემპიონობა უკვე წაგებული ჰქონდეს. ჩემპიონატს მაისის ბოლოს იგებენ და არა თებერვალში.

— მაგრამ პირველ წრეში „რეალმა" მხოლოდ 8 ქულა დაკარგა, ხოლო მიმდინარე მეორეში უკვე ცხრის გაფლანგვა მოასწრო... გუნდი ფიზიკურად ხომ არ გადაიღალა?

— ჩემი აზრით, „რეალის" პრობლემა შედეგებშია და არა თამაშის ხარისხსა თუ ფიზიკურ მომზადებაში. თუკი ბოლო სამ მატჩს გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ სირბილისა და ბრძოლის სურვილი ჯერაც არ მოგვნელებია, უბრალოდ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ.

— „ბარსელონა" ორი ქულითა ჩამოგრჩებათ, რაც გულშემატკივრებს სერიოზულად აღელვებთ. ფეხბურთელებიც შეშფოთებულები ხართ?

— ვიცით, რომ ქულები ჰაერივით გვჭირდება — ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ „ბარსას" 8 ქულით ვუსწრებდით. ეს ფსიქოლოგიური ტვირთია, მაგრამ მას აუცილებლად მოვერევით. გუნდს საამისო ძალა ნამდვილად შესწევს.

— რით ახსნით იმ ფაქტს, რომ გუნდი გამარჯვებას „კამპ ნოუზე" აღწევს და შინ „ხეტაფესთან" მარცხდება?

— ეს აბსოლუტურად ნორმალურია, რადგან ყველა მატჩის მოგება უბრალოდ შეუძლებელია. არის წარმატებული პერიოდები, როცა გუნდისთვის სულერთია, სად ითამაშოს და მოიგოს, გინდ „კამპ ნოუ" იყოს და გინდ — „ბერნაბეუ". მაგრამ არის ისეთი მომენტებიც, როცა არაფერი გამოგდის. ვცდილობ, აგიხსნათ, რომ მეც და „რეალის" ყველა დანარჩენი ფეხბურთელიც ამ მცირე ჩავარდნას მშვიდად შევხვდით. „ბარსელონაზე" საერთოდ არ ვფიქრობთ, არც პრესას ვაქცევთ ყურადღებას. ჩვენი საზრუნავი თამაში და მისი მოგებაა.

— იტალიის ნაკრები თუ გაუშვებდა ასეთ გოლს?

— ნებისმიერს შეიძლება მოუვიდეს...

— თქვენი წარუმატებლობა „ბარსას" გამოცოცხლებას დაემთხვა...

— „ბარსელონამ" აშკარად მოუმატა, მაგრამ ვიმეორებ, ჩვენს თამაშზე ფიქრი უფრო მსიამოვნებს.

— იტალიაში კი „რომა" თამაშობს დამაჯერებლად...

— ერთს ვიტყვი: ჭკვიანურად უნდა ვითამაშოთ, რადგან პირველ მატჩში „რომამ" დაგვიმტკიცა, რომ გოლების გატანა ეხერხება. შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. მაქსიმალური ყურადღებით უნდა ვითამაშოთ.

— „ვალიადოლიდთან" 7:0-ს თუ არ ჩავთვლით, ბოლო მატჩებში გოლების გატანა გიჭირთ...

— საკმარისად მტკიცე ხასიათის კაცები ვართ, რათა ამან შეგვაშფოთოს. ყველაფერი კარგად იქნება.

— მას შემდეგ, რაც რაულმა და იკერ კასილიასმა „რეალს" ბედი კარიერის ბოლომდე დაუკავშირეს, გუნდს ერთი მატჩიც არ მოუგია. ამან ხომ არ იმოქმედა?

— ბიჭების კონტრაქტები გუნდისთვის პრობლემად რატომ უნდა იქცეს?

— ბერნდ შუსტერს არ სიამოვნებს, როცა ახსენებენ, რომ მისი გუნდები მეორე წრეში ტემპს აგდებენ ხოლმე. ამ ტენდენციაზე გასახდელში თუ გისაუბრიათ?

— ჩემი აზრით, გასვლით მატჩებში ისევე ძლიერად და შედეგიანად თამაში, როგორც ეს პირველ წრეში იყო, უძნელესი საქმე იქნება, მაგრამ სტუმრად ყველა მატჩის წაგებას ნამდვილად არ ვაპირებთ. გამარჯვების გზებზე დაბრუნება გვმართებს და არა იმაზე ფიქრი, მწვრთნელი შეცდა თუ არა.

სიმბოლური გერმანული

გერმანიაში სხვადასხვა დროს მომუშავე 20 მწვრთნელს „ბილდმა" ბუნდესლიგაში ბოლო 20 წლის განმავლობაში მოიყვანეს ფეხბურთელების სიმბოლური ნაკრების შედგენა სთხოვა.

გამოკითხვაში მონაწილეთა შორის იყვნენ ფრანც ბეკენბაუერი, უდო ლატეკი, ჰუბერ სტევენსი, ოტო რეჰაგელი, იურგენ კლოპი და სხვანი.

სიმბოლური ნაკრები ასეთი გამოვიდა: ოლივერ კანი; ანდრეას ბრეიტნერი, იურგენ კოლერი, კლაუს აუგენტალერი, შტეფან რო�ტერი; თომას ჰელერი, ლოთარ მათეუსი, შტეფან ეფენბერგი, მათიას ზამერი; რუდი ფიოლერი, იურგენ კლინსმანი.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაკრებში ერთი ლეგიონერიც კი ვერ მოხვდა, თუმც სიმბოლურთან ახლო იყვნენ ბიქსენტ ლიზარაზუ და ჯოვანი ელბერი. სათქმელია ისიც, რომ ნაკრებში მიხაელ ბალაკისა და მირაფლავ კლოზესთვის ადგილი არ გამოინახა.

ვაჟა ხუციშვილი

ითანამშრომლე რეინჯერსთან!

უეფას თასის მერვედფინალში ერთმანეთს „რეინჯერსი" და „ვერდერი" ხვდებიან. ყოფილმა რეინჯერსელმა, ამჟამად კი „აინტრახტის" ფეხბურთელმა სოტირიოს კირიაკოსმა „ვერდერის" ნახევარმცველი დიეგო „გაყიდა". ბერძენმა გლაზგოელ „ჩაფრებს" ბრაზილიელი მოთამაშის ავანჩავანზე დაწვრილებით უამბო „რეინჯერს ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

კირიაკოსი და დიეგო გასულ კვირას ბუნდესლიგაში ერთმანეთს გადაეყარნენ. ბრემენელებმა ფრანკფურტში 0:1 წააგეს, ხოლო მატჩის მე-40 წუთზე დიეგო გააძევეს. მიზეზი: ბერძენი და ბრაზილიელი ბურთისთვის ბრძოლაში დაეჯახნენ, მასპინძელმა არ დაუთმო და შეაგინა, სტუმარს კი ნერვებმა უღალატა და მხარი დაარტყა. სწორედ ამისთვის მიაბრძანეს მოედნიდან.

„რეინჯერს ნიუსმა" დიეგოს „ექსპერტმა" მიაკითხა და სოტირიოს კირიაკოსიც ენად გაიკრიფა: „როგორც კი წინააღმდეგობას წააწყდა, დაიბნა. ერთი მივაგინე და ეფექტი აიჭრა. დიეგო ფიცხია და თუ რეინჯერსელები მის ნერვებზე ითამაშებენ, კალაპოტიდან ამოვარდება. იგი „ვერდერის" საუკეთესო ფეხბურთელია, საუცხოო ფინტებით და პასებით, მაგრამ ითლად გამოდის წონასწორობიდან".

„ვერდერი" გლაზგოში 6 მარტს ჩავა, საპასუხო მატჩი კი ბრემენში 13-ში გაიმართება.

ვაჟა ხუციშვილი

პატივს ვცემ, მე მაგის...

„ჩელსის“ ამბები გვინდა გიამბოთ: ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ აღიარა, რომ შაბათს კაპიტან ჯონ ტერისთან გვარიანი უსიამოვნება მოუვიდა. გუშინ გამცნეთ, რომ ლონდონური გუნდის საწვრთნელ ცენტრში ვარჯიშის დროს მომხდარი ეს ამბავი ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, თუმცა უშუალო მონაწილისგან დასტური არ ჰქონდათ.

ტენ კატე: „მეც და ტერიც ემოციური ადამიანები გახლავართ, მაგრამ ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. ჩვენი კონფლიქტი კი ვარჯიშის ინტენსიურობით იყო გამოწვეული. ფაქტობრივად, სწორედ ამაზე ვიკამათეთ. ასეთი კოფლიქტები საფეხბურთო ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ვაღიარებ, გაცხარებულ გულზე ერთმანეთს ბილწადაც ვაგინეთ, მაგრამ გინება ინგლისში უჩვეულო რამ ნამდვილად არ არის“.

53 წლის სპეციალისტმა ისიც განმარტა, რომ გუნდში დაძაბული ვითარება „ქარლინგის თასის“ მოახლოებული ფინალითაც იყო განპირობებული. მოგეხსენებათ, კვირას „ჩელსიმ“ „უემბლიზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ 1:2 წააგო.

ციტატა, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ უკვე ჰოლანდიური გაზეთის AD-ს ვებგვერდიდან გახლავთ აღებული:

„შაბათს გუნდში განსაკუთრებული დაძაბულობა იგრძნობოდა — ამბობს ტენ კატე — ჩვენთან, „ჩელსიში“, 30 ფეხბურთელია, რომელთაგან სამი მეკარეა, მოედანზე კი მხოლოდ თეთრთმეტის გაყვანა შეიძლება. ჯონს უნდოდა ვარჯიში კიდევ უფრო ინტენსიური ყოფილიყო, რასაც მე არ დავეთანხმე, ვინაიდან თამაშამდე ერთი დღე რჩებოდა და მოთამაშეების გადაღლისა შემეშინდა. კონფლიქტის მიზეზიც სულ ეს იყო. მე და მას ცუდი ურთიერთობა არ გვაქვს და ამას, თუ გნებავთ, ის თავადაც დაგიდასტურებთ“.

ამასობაში კი „ლურჯების“ მთავარ მწვრთელს, ავრაამ გრანტს აერია საქმეები. „ჩელსის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზეც კი მისი გადადგომის მოთხოვნები გაისმა. გულშემატკივართა გამოხმაურებანი, განსაკუთრებით „ტოტენჰემთან“ ზემოხსენებული დამარცხების შემდეგ ფრიად ავი გამოდგა. პრობლემის მიზეზთა მიზეზი კი ყველაზე ნათლად ერთმა ქომაგმა გამოთქვა, რომელმაც დაწერა:

„ჟოზე მაურინიუს დროს ჩვენი გუნდისა გვწამდა, ავრაამ გრანტის ხელში კი აღარ გვწამს“.

როგორც „ჩელსის“ ვებ-მასტერები გვეუბნებიან, გრანტის გადადგომის მოთხოვნით მათთან დღეში 3 ათასამდე წერილი შედის.

პაპუნა კედია

მანქანათა ომი

ახლა, იმაზეც ვილაპარაკოთ თუ როგორ ყიდულობენ ინგლისური პრემიერლიგის მილიონერი ვარსკვლავები მანქანებს.

აი, მაგალითად, უეინ რუნი, რომელიც, ალბათ, უფრო საცოლის, კოლინის წყალობით სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდება გაზეთების Bizarre ფურცლებზე — კოლინს აშკარად აღმოაჩნდა, ძველკინტოურად რომ ვთქვათ, „სვეტში გასვლის“ ნიჭი, თუმცა ამწუთას სხვა თემა გვაქვს.

როგორც ირკვევა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი 350 ათას გირვანქად, რაც დოლარებში 681 145-ის ტოლია, „მაკლარენის“ სუპერმანქანის შეძენას აპირებს, ოღონდ იმ პირობით თუ... წითელ სკამებს გაუკეთებენ.

ახლა, იმაზე თუ რა მანქანაა ეს SLR Roadster-ი. ეს გახლავთ ნიმუში, რომელიც „მაკლარენმა“ საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით გამოუშვა და მის შექმნაში ფორმულა ერთის კონსტრუქტორთა ჯგუფი მონაწილეობდა.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა კი ოღონდ ვინმეს დასცინონ... რუნის ამ ზაფხულს, სეზონის შემდეგ, თავისი „მაკლარენის“ საგელვებლად დრო უამრავი ექნება, რადგან, მეორე მაკლარენის ხელმძღვანელობით ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდაო.

ცნობისთვის: რუნის უკვე ჰყავს „ბენტლი“, „რეინჯ როვერი“ და „ლამბორჯინი“. სხვათა შორის, რამდენადაც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებს შორის „სამანქანო ომია“ დაწყებული და ამ ომში რუნის ახალი შენაძენი გვარიანი წინსვლა იქნება.

პაპუნა კედია

ხუთშაბათამდე გადაოცდაცხრამეტდა



ინგლისური პრემიერლიგის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ფიფაში ვიზიტი გადადონ, რითაც ჩემპიონატში დამატებითი, 39-ე, კომერციული ტურის ჩართვის ისედაც მრავალმხრივ საეჭვო გეგმას კიდევ უფრო მეტი ჩრდილი მიაყენეს.

საქმის არსს მოკლედ შეგახსენებთ: ინგლისელებს სურთ, პრემიერლიგაში ერთი დამატებითი ტური დანიშნონ, რომლის ათივე მატჩი უცხოეთში გაიმართება.

ისიც მოგეხსენებათ, რაც ლიგის ხელმძღვანელმა რიჩარდ სკუდემორმა თავიანთი თამამი პროექტი ქვეყანას გააცნო, საკუთრივ ინგლისშიცა და ქვეყნის გარეთაც მრავალმა მოწინააღმდეგემ აღიმაღლა ხმა. მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდა თვით მსოფლიო ფეხბურთის მმართველ-მარეგულირებელი ფიფაც, რომელთანაც მისტერ სკუდემორმა შეხვედრა და უფრო დაწვრილებით საუბარი განიზრახა, მაგრამ ბოლოწამს გაირკვა, რომ პრემიერშიფელებს შვეიცარიაში ჩასასვლელად კიდევ უფრო სერიოზულად სჭირდებათ მომზადება და ვიზიტი ორშაბათიდან ხუთშაბათისთვის გადაიდო.

„ფიფასა და წამყვან საფეხბურთო კონფედერაციებთან კონსულტაციებამდე ადგილზევე გვჭირდება მეტი ჩაღრმავება და დაფიქრება — წერია პრემიერლიგის ოფიციალურ განცხადებაში, რომლითაც საფეხბურთო სამყაროს შეხვედრის გადადების ამბავი აცნობეს — პროექტი ჯერ ძალიან ნედლია, ის განვითარებასა და გაღრმავებას მოითხოვს და გული გვწყდება, პირველი რეაქციების დროს ეს ამბავი ბევრმა რომ არ გაითვალისწინა“.

ზემოთ მოწინააღმდეგეები ვახსენეთ. უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ პრემიერლიგის პროექტს ხუმრობა უწოდა, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა კი ჯიქური განაცხადა, ასეთმა გეგმამ ინგლისელების სურვილი უმასპინძლონ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, შესაძლოა სურვილადვე დატოვოსო.

და მაინც, ლონდონში აცხადებენ, რომ 39-ე ტური მთლად განწირული წამოწყებაც არ არის. მეტიც, ინგლისელები თავიანთი ზემოხსენებულ ოფიციალურ განცხადებაში ყველას შეახსენებენ, რომ მათი ლიგა მთელს მსოფლიოში სამაგალითოა და ძალიან ბევრი ქვეყანა ჭკუას სწორედ მათ ეკითხება. ასე რომ, პრემიერშიფიდან წამოსული სიახლეების მთლად ამოღებული ხმლით დახვედრაც არ უნდა იყოს უპრიანი.

პაპუნა კედია

ედუარდოს ცხრა თვე

გახორვატებული ბრაზილიელის, ედუარდოს ოჯახი კვლავაც შოკშია — მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ბოლო ტურში, „ბირმინგემთან“ შეხვედრისას, მეტოქემ, მარტინ ტეილორმა ლონდონის „არსენალის“ მოთამაშე შემზარავად დაამტვრია, რის გამოც მას სულ მცირე, ცხრა თვე გაუცდება.

„მაგრამ ჩემი ედუარდო არ დანებდება — უთხრა ჟურნალისტებს ფეხბურთელის ცოლმა ანდრეა და სილვამ — ის, ისევე როგორც ჩვენ ყველანი, შოკში ვიყავით და დღესაც დაზაფრულები გახლავართ. რატომ მოგვივიდა ასეთი რამ მაინცდამაინც ჩვენ? ხომ გეუბნებით, დღემდე თავზარდაცემულები ვრჩებით. თამაშს ტელევიზორში ვუყურებდი და ჩემი ქმრის კოჭი რომ დავინახე ტირილისგან მთელი ძალა და ღონე გამომეცალა. არ მესმის, რაფერ შეიძლება ადამიანი ასე დაშავდეს“.

ხოლო, 25 წლის ვარსკვლავის კლუბმა, ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც წერია:

„თუ ყველაფერი კარგად წავა, ედუარდოს ფეხი თაბაშირში ექვსი ან რვა კვირა ექნება, ამ ხნის განმავლობაში ის ყავარჯნით იარის, ამის შემდეგ მას ექიმები ფეხის მცირე დოზით დატვირთვის სვლას მისცემენ და აღდგენის ნელი პროცესიც დაიწყება. იმედია, რომ ექვსი თვის შემდეგ ედუარდო გარბენის შეძლებს, ცხრა თვეში კი ჯანმრთელობა სრულად აღუდგება“.

პაპუნა კედია

პოზიტი სისტემა

ფეხბურთი რომ მრავალმხრივი სახეობაა, აი, კიდევ საიდან ჩანს: აქ ნაირნაირი ვარსკვლავი არსებობს. მაგალითად, ავიღოთ „ერთი კლუბის ვარსკვლავები“ — დაგვეთანხმებით, ასეთები მრავლად ნამდვილად არ არიან, მაგრამ ვინც არის, საკმაოდ გამოკვეთილი, ძლიერი და კოლორიტულია. თანამედროვე ფეხბურთში „ერთი კლუბის ვარსკვლავობა“ კიდევ უფრო ძნელია. მიზეზი: მოთამაშეებს გუნდიდან გუნდში დიდი ფულით იტყუებენ. ჰოდა, ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „სანმა“ გადაწყვიტა, ინგლისური ფეხბურთის ათი ყველაზე გამორჩეული „ერთი კლუბის ვარსკვლავი“ გაეხსენებინა...

რაიან გიგზი

10. ჯონ ტერი (ჩელსი)

ძნელი დასაჯერებელია, რომ თანამედროვე ინგლისელი მთელს კარიერას ერთ კლუბში ატარებს. სხვა ამბავია, რომ ეს ცენტრალური მცველი გუნდში ჟოზე მაურინიუს მისვლამდე „ლურჯთა“ ბანაკიდან წასვლაზთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ პორტუგალიელმა „ჩელსიში“ მისვლისთანავე კაპიტნად აქცია და ამ მეთოდით დატოვა გუნდში.

9. ტრევორ ბრუკინგი (ვესტ ჰემი)

ლონდონის ისტ ენდში დაბადებულ-გაზრდილი ინტელიგენტური გამთამაშებელი თბილისის „დინამოს“ 1980-81 წლების თასების თასის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდა. გეხსომებათ, მაშინ „დინამომ“ იძალა, ბოლოს კი ფინალში „კარლ ცაისთან“ გამარჯვების შემდეგ თასიც აიღო. ბრუკინგმა 1980 წლის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „არსენალს“ გაუტანა გამარჯვების გოლი, რაც მისი კარიერის ყველაზე დასამახსოვრებელ ეპიზოდად ითვლება. სწორედ იმ წარმატების წყალობით მოხვდა „ვესტ ჰემი“ თასების თასის ზემოხსენებულ გათამაშებაში.

8. სტივენ ჯერარდი (ლივერპული)

ფესვებით სკუსერი ერთხელ კინაღამ შეცდა — ჟოზე მაურინიუ „ჩელსიში“ იტყუებდა, მაგრამ სულ ბოლოწამს ლივერპულელობამ გადაწონა და დარჩა.

7. მეტ ლე ტისიე (საუთჰემპტონი)

დაბადებით ჯერსის კუნძულელი „საუთჰემპტონში“ 16 წლიწადი ბრწყინავდა და უამრავი ულამაზესი გოლის წყალობით დღემდე იქაურთა უდიადეს მოგონებად რჩება. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში ლე ტისიე ბევრ ტიტულს მოიგებდა, მაგრამ...

6. ნეთ ლოფტჰაუსი (ბოლტონი)

ნეთ ლოფტჰაუსი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქის ერთ-ერთი გმირთაგანია. მან „ბოლტონში“ 400-ზე მეტი თამაში ჩაატარა. მისი სახელი „რიბოკის“ სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნას ჰქვია.

5. ტომ ფინი (ჰრესტონი)

ლოფტჰაუსივით ომისშემდგომი პერიოდის ამ გმირს თავის დროზე უამრავი შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ მან უარი თქვა. იტალიური „პალერმო“ 1952 წლისთვის უდიდეს თანხას, 10 ათას გირვანქას სთავაზობდა.

4. ჯეკი ჩარლტონი (ლიდსი)

მართალია ჯეკი ჩარლტონი მთელი ცხოვრება თამაშობდა ლიდსში, ბობის ჩრდილშია, მაგრამ „ლიდს იუნაიტედის“ ფანებისთვის იყო და არის უსაყვარლესი ვარსკვლავი და ადამიანი. მან „ელანდ როუდზე“ 20 წლის განმავლობაში 773 თამაში ჩაატარა.

3. ტონი ადამსი (არსენალი)

ადამსმა „არსენალში“ 18 წელიწადი დაჰყო. დიდებული ცენტრალური მცველი ერთხელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდა, მაგრამ მისმა უარმა „მეთოფეთა“ ქომაგების სიყვარული გაუორმაგა.

2. ბილი რაიტი (ვულვერჰემპტონი)

მას უბრალოდ მისტერ ვულვზს ეძახდნენ. საყვარელ კლუბში მოღვაწეობა 10 წლისამ ბალახის მკრეჭავად დაიწყო, ხოლო როგორც ფეხბურთელმა 500 მატჩი ჩაატარა.

1. რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი)

უელსელმა ვარსკვლავმა თინეიჯერობის წლებში კინაღამ მანჩესტერის მეორე გუნდთან, „მანჩესტერ სიტისთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი. 1991 წლიდან დღევანდლამდე მან 700-ზე მეტი მატჩი ჩაატარა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, სადაც ცხრაჯერ ინგლისის ჩემპიონი, 1999 წელს კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

პაპუნა კედია

ბაირონ მორენომ ჩვენება არ შეცვალა

სერია A-ში მსაჯების გარშემო ატეხილ აურზაურს ეკვადორელი არბიტრი ბაირონ მორენოც გამოეხმაურა. ეს კაცი „სკუადრა აძურასთვის“ ავადსახსენებელია მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ. მაშინ მერვედფინალში იტალიის ნაკრები თანამასპინძელ სამხრეთ კორეას შეხვდა და მორენომ კორეელთა სასარგებლოდ უსტვინა. ფრანჩესკო ტოტი „ყვინთვისთვის“ გააძევა, იტალიელებს ალალი გოლი არ ჩაუთვალა და მათ კარში საეჭვო პენალტი დანიშნა. მოკლედ, ეკვადორელმა მასპინძლები მეოთხედფინალში გაიყვანა და ამის გამო აპენინელი ქომაგები მოკვლითაც კი ემუქრებოდნენ.

„კორიერე დელო სპორტთან“ ინტერვიუში ბაირონ მორენომ თავი ანგელოზად გამოიყვანა: „იმავეს ვიმეორებ, რაც ექვსი წლის წინ მატჩის შემდეგ ვთქვი. ყველა ეპიზოდში წესების მიხედვით ვმოქმედებდი და სწორად მოვიქეცი, კორეელების სასარგებლოდ აშკარა პენალტი იყო და იტალიელებმა მარცხი საკუთარ თავს დააბრალონ. ტოტის გაძევებაც სამართლიანი გახლდათ, რადგან ფიფა თაღლითების დასჯას ითხოვდა.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე გამოჩნდა, თუ რატომ ვერ ითამაშა კარგად „სკუადრა აძურამ“ კორეა-იაპონიაში. მარჩელო ლიპიმ შემტევი ფეხბურთი არჩია და ჩემპიონი გახდა, ჯოვანი ტრაპატონი კი 1:0-ზე საკუთარ საჯარიმოში იკეტებოდა. ზოგადად, იტალიაში მსაჯებს ეჭვის თვალით უყურებენ მას შემდეგ, რაც კალჩოპოლის სკანდალმა ქვეყანას გადაუარა. იქ უნდობლობა უფრო და უფრო იზრდება“.

ბაირონ მორენომ აბდაუბდა მსაჯობა მსოფლიოს ჩემპიონატის მერე თავის ქვეყანაში გააგრძელა. რამდენჯერმე დისკვალიფიკაცია მისცეს და ბოლოს, 2003-ის მაისში, ერთ-ერთ მატჩში გუნდს სამი ფეხბურთელი რომ გაუძევა, სასტვენი ერთი თვით ჩამოართვეს. ივნისში მორენო მსაჯობიდან თავისი ნებით წავიდა.

ვაჟა ხუციშვილი

საჭირო კაცის გაჭირვება

სლომკას ომის არ ეშინია

ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი წაგების გამო წიხლდაჭერილი „შალკეს“ მწვრთნელი ქომაგებს ვითარების გამოსწორებას შეპირდა. „ვოლფსბურგთან“ და „ლევერკუზენთან“ მარცხმა მირკო სლომკას გუნდი პირველადგილოსან „ბაიერნს“ ცხრა ქულით დააშორა. შედეგად, „ხუმარების“ საჩემპიონო შანსი შემცირდა. ამბობენ, რომ კლუბის პრეზიდენტმა სლომკას ულტიმატუმი წაუყენა — მომდევნო ორი მატჩი არ უნდა წააგოს, თორემ მოხსნიან. „შალკე“ შაბათს ჩემპიონატში „ბაიერნს“ მასპინძლობს, მერე კი ჩემპიონთა ლიგის საპასუხო შეხვედრა „პორტუსთან“ სტუმრად ელის.

მირკო სლომკამ „ბილდთან“ განაცხადა: „შაბათს „ბაიერნს“ თუ დავამარცხებთ, ბუნდესლიგის სამეულში მოხვედრის კარგი შანსი გვიჩნდება, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლით მილიონებსაც ვიშოვით და ევროპული ფეხბურთის ელიტაშიც შევაბიჯებთ. „შალკემ“ ამ ორი მატჩისთვის მთელი ძალა უნდა მოიკრიბოს. მე მებრძოლი ვარ და უომრად არ დავნებდები“.

ამ სეზონში მირკო სლომკას წასვლა-დარჩენის საკითხი პირველად როდი დადგა. გასულ ნოემბერში „კოტბუსთან“ წაგების გამო კინაღამ მოხსნეს, მაგრამ მომდევნო შვიდი მატჩი მოიგო და სკამი შეინარჩუნა. ამჯერად ვითარება განსხვავებულია, რადგან ორი უმძიმესი თამაში ელის — ჯერ „ბაიერნთან“, მერე კი „პორტუსთან“.

„ორი მატჩის წაგების შემდეგ ქომაგებმა მწვრთნელის მოხსნა რომ მოითხოვონ, ეს გასაგებია. სინამდვილეში კი მხოლოდ მე ვიცი, რა ხდება გუნდის შიგნით. კლუბის თავმჯდომარესთან, კლემენს ტონიესთან, ორშაბათს შეხვედრა ვითხოვე და გულახდილადაც ვისაუბრეთ. მზად ვარ შეჯიბრისთვის და მსურს, რომ ეს მცირე კრიზისი ფეხბურთელებთან ერთად გადავლახო. უნდა დავამტკიცო, რომ „შალკესთვის“ საჭირო კაცი ვარ“.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		1 მარტი						
19:00	2	ვესტ ჰემი-ჩელსი	4.10	3.20	1.90	1.79	1.29	1.19
19:00	3	არსენალი-ასტონ ვილა	1.50	3.70	6.70	1.06	1.22	2.38
19:00	4	ბირმინგემი-ტოტენჰემი	3.70	3.30	1.95	1.74	1.27	1.22
19:00	6	დერბი-სანდერლენდი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
19:00	8	ფულემი-მანჩესტერი	8.00	4.70	1.30	2.96	1.11	1.01
21:15	9	სიტი-უიგანი	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
19:00	10	მიდლსბრო-რედინგი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
19:00	11	ნიუკასლი-ბლექბერნი	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43
		2 მარტი						
17:30	5	ბოლტონი-ლივერპული	4.70	3.60	1.70	2.03	1.24	1.15
20:00	7	ევერტონი-პორტსმუთი	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		1 მარტი						
19:00	12	პრესტონი-კრ. პალასი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	14	სკანთორპი-ქოვენთრი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	15	შეფილდი-ჩარლტონი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:00	16	საუთჰემპტონი-იფსვიჩი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
19:00	17	ბარნსლი-უენსდი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	18	ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
19:00	19	ბრისტოლი-პალი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
19:00	20	ბარნლი-უოტფორდი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
19:00	21	კარდიფი-ლესტერი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	22	კოლჩესტერი-ვულვერჰემპტონი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
19:00	23	ნორვიჩი-ბლეკპული	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
		2 მარტი						
17:15	13	ქპრ-სტოკი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		ინგლისი. I ლიგა						
		29 თებერვალი						
23:45	27	ჩელტენემი-საუთენდი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		1 მარტი						
19:00	28	ნორთჰემპტონი-ქრიუ	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
19:00	29	პორტ ვეილი-ოლდემი	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
18:00	30	სუინდონი-ლიდსი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
19:00	31	ბორნმუთი-პარტლპული	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	32	ტრანმერი-დონკასტერი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	33	ბრაიტონი-ლეიტონი	2.05	3.20	3.15	1.24	1.24	1.58
19:00	34	ჯილინგემი-იოვილი	2.05	3.20	3.15	1.24	1.24	1.58
19:00	35	პადერსფილდი-სუონსი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
19:00	36	ლუტონი-უოლსოლი	3.15	3.20	2.05	1.58	1.24	1.24
19:00	37	მილუოლი-როვერსი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		3 მარტი						
23:45	38	ნოტინგემი-კარლაილი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
		ინგლისი. II ლიგა						
		1 მარტი						
19:00	45	როჩდეილი-ჩესტერფილდი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	46	როტერჰემი-აკრინგტონი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
19:00	47	ბარნეტი-შრიუსბერი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:00	48	რექხემი-მენსფილდი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
19:00	49	ბრედფორდი-დგ ენდ რედი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
19:00	50	დარლინგტონი-ბრესტფორდი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	51	ჰერეფორდი-სტოკპორტი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
19:00	52	ლინკოლნი-უიკომბი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	53	მაკლსფილდი-ნოტსი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	54	დონსი-ჩესტერი	1.50	3.60	6.40	1.05	1.21	2.30
19:00	55	მორიკომბი-გრიმსბი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
19:00	56	პიტერბრო-ბერი	1.45	3.70	6.70	1.04	1.19	2.38
		ინგლისი. კონფერენსი						
		1 მარტი						
17:00	57	გრეისი-ტორკი	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
19:00	58	ბარტონი-ჰისტონი	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
19:00	59	სტეფორდი-ფარსლი	2.20	3.40	2.80	1.33	1.23	1.53
19:00	60	ჰალიფაქსი-ვეიმუთი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
19:00	61	სალისბერი-დროილსდენი	1.30	4.70	8.40	1.01	1.12	3.01
19:00	62	ექსეტერი-ალტრინჰემი	1.40	4.00	7.40	1.03	1.17	2.59
19:00	63	კემბრიჯი-იორკი	1.75	3.50	4.10	1.16	1.22	1.88
19:00	64	რაშდენი -უოკინგი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
19:00	65	ნორთვიჩი-ებსფლეთი	3.10	3.30	2.10	1.59	1.25	1.28
19:00	66	ფორესტ გრინი-ოქსფორდი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
19:00	67	სტივენეიჯი-ქროული	1.70	3.50	4.40	1.14	1.22	1.94
19:00	68	ალდერშოტი-კიდერმინსტერი	1.40	4.00	6.90	1.03	1.16	2.53
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		29 თებერვალი						
23:30	134	ჰერტა-დუისბურგი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
		1 მარტი						
18:30	127	შალკე-ბაიერნი	3.00	3.30	2.10	1.57	1.23	1.28
18:30	129	ჰანოვერი-ნიურნბერგი	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
18:30	130	ვერდერი-დორტმუნდი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
18:30	131	ჰანზა-არმინია	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
18:30	133	კარლსრუე-ვოლფსბურგი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
18:30	135	კოტბუსი -შტუტგარტი	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
		2 მარტი						
20:00	128	ბოხუმი-ლევერკუზენი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
20:00	132	ჰამბურგი-აინტრახტი	1.55	3.50	5.40	1.07	1.20	2.12
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		29 თებერვალი						
21:00	138	ვეენი-აუგსბურგი	2.20	3.20	2.95	1.30	1.26	1.53
21:00	139	ფიურტი-კიოლნი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
21:00	140	მიონხენგლადბახი-აუე	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
		2 მარტი						
17:00	137	მიუნხენი 1860-ალემანია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
17:00	141	კობლენცი-კარლ ცაისი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
17:00	142	ოსნაბრიუკი-ჰოფენჰაიმი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
17:00	143	ოფენბახი-ზტ.პაული	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
17:00	145	პადერბორნი-ლაუტერნი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		3 მარტი						
23:15	144	ფრაიბურგი-მაინცი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		1 მარტი						
20:45	94	აარაუ-იანგ ბოიზი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
20:45	95	სტ გალენი-ლუცერნი	2.05	3.20	3.35	1.24	1.27	1.63
		2 მარტი						
17:00	96	სიონი-ქსამაქსი	2.00	3.10	3.60	1.21	1.28	1.66
19:00	97	თუნი-ბაზელი	6.00	3.80	1.45	2.32	1.16	1.04
19:00	98	ციურიხი-გრასჰოპერი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		1 მარტი						
23:00	224	ატლეტიკო-ბარსელონა	3.45	3.20	2.05	1.66	1.28	1.24
23:00	230	უელვა-რეალი	3.80	3.20	1.90	1.73	1.26	1.19
23:45	231	ესპანიოლი-ვალენსია	2.35	3.10	2.85	1.33	1.28	1.48
23:00	232	დეპორტივო-სევილია	3.00	3.10	2.30	1.52	1.30	1.32
		2 მარტი						
20:00	223	ლევანტე-სარაგოსა	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
22:00	225	ვილიარეალი-ოსასუნა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:45	226	ალმერია-ბილბაო	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
20:00	227	ვალიადოლიდი-რასინგი	2.35	3.10	3.00	1.33	1.31	1.52
20:00	228	ბეტისი-მურსია	1.80	3.30	4.25	1.16	1.26	1.85
20:00	229	ხეტაფე-მალიორკა	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		1 მარტი						
21:30	235	ტენერიფე-ალავესი	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
21:30	236	გრანადა -კორდობა	2.00	3.00	3.60	1.20	1.28	1.63
21:30	243	ფეროლი-ალბასეტე	2.00	3.00	3.65	1.20	1.29	1.64
		2 მარტი						
15:00	233	სპორტინგი-ნუმანსია	2.55	2.90	2.70	1.35	1.31	1.39
20:00	234	ჰერკულესი-სალამანკა	2.10	3.00	3.35	1.23	1.29	1.58
20:00	237	კადისი-კასტელონი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
20:00	238	სევილია ბ-ეიბარი	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
20:00	239	მალაგა -ეხიდო	1.45	3.60	7.00	1.03	1.20	2.37
20:00	240	ტარაგონა-ლას პალმასი	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
20:00	241	სელტა-ელჩე	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
20:00	242	სოსიედადი-სერესი	1.60	3.20	6.00	1.06	1.26	2.08
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		1 მარტი						
23:00	244	მარსელი-ოსერი	1.70	3.25	4.85	1.11	1.25	1.94
23:00	245	მეცი-კაენი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
20:10	246	ლილი-ლიონი	3.10	3.00	2.25	1.52	1.30	1.28
23:00	247	ლორიანი-ნანსი	2.20	2.85	3.30	1.24	1.32	1.52
23:00	250	სოშო-რენი	2.00	3.00	3.60	1.20	1.28	1.63
23:00	251	ლე მანი-სტრასბური	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
23:00	252	ლანსი-ტულუზი	1.70	3.20	4.80	1.11	1.25	1.91
23:00	253	მონაკო-ვალენსიენი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
		2 მარტი						
21:00	248	სტ-ეტიენი-ნიცა	1.85	3.00	4.25	1.14	1.28	1.75
23:45	249	ბორდო-პსჟ	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		29 თებერვალი						
23:00	254	ბულონი-ამიენი	2.35	2.80	3.10	1.27	1.33	1.47
23:00	255	მონპელიე-ანჟე	2.00	2.90	3.90	1.18	1.32	1.66
23:30	256	გრენობლი-ბასტია	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
23:00	257	გენიონი-ბრესტი	2.65	2.70	2.75	1.33	1.34	1.36
23:00	258	ნიორი-შატორუ	2.30	2.90	3.10	1.28	1.32	1.49
23:00	259	დიჟონი-კლერმანი	2.70	2.70	2.65	1.35	1.33	1,33
23:00	261	ნანტი-ლიბურნი	1.35	3.70	9.00	1.00	1.17	2.62
23:00	262	აიაჩო-რეიმსი	2.00	2.90	3.90	1.18	1.32	1.66
23:00	263	გენგამი-სედანი	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
		3 მარტი						
23:30	260	ტრუა-ლე ავრი	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		29 თებერვალი						
23:30	283	ვიტესი-ვენლო	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24
		1 მარტი						
22:30	284	ბრედა-სპარტა	1.50	3.70	5.70	1.06	1.18	2.24
23:00	285	ტვენტე-ჰერენვენი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
23:00	286	გრაფშხაპი-ტილბურგი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
22:30	287	როდა-ალკმაარი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		2 მარტი						
17:30	288	უტრეხტი-პსვ	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
17:30	289	ფეიენოორდი-ნაიმეგენი	1.30	4.60	8.20	1.01	1.12	2.94
17:30	290	აიაქსი-ექსელსიორი	1.15	6.50	11.00	1.00	1.04	4.08
17:30	291	გრონინგენი-ჰერაკლესი	1.35	4.40	7.20	1.03	1.13	2.73
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		29 თებერვალი						
23:00	292	კამბური-ვალვაიკი	4.90	3.60	1.60	2.07	1.20	1.10
23:00	293	ჰაარლემი-ტელსტარი	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
23:00	294	ვოლენდამი-სიტარდი	1.40	3.90	7.80	1.03	1.18	2.59
23:00	295	მაასტრიხტი-ვეენდამი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
23:00	296	ეინდჰოვენი-ზვოლე	3.80	3.30	1.85	1.76	1.24	1.18
23:00	297	იგლზი-ჰელმონდი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
23:00	298	აპელდორნი-ემენი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
23:00	299	როზენდალი-დენ ჰააგი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
23:00	300	ოსი-დორდრეხტი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
23:00	301	ომნიფორლდი-დენ ბოსხი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
		საბერძნეთი						
		1 მარტი						
18:45	318	ერგოტელისი-პაოკ	3.10	3.10	2.15	1.54	1.26	1.26
21:00	319	ოლიმპიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
		2 მარტი						
17:00	320	ლევადეიაკოსი-ოფი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
17:00	321	ქსანთი-პანიონიოსი	2.05	2.90	3.60	1.20	1.30	1.60
18:45	322	კალამარია-ვეროია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
18:45	323	ლარისა-ირაკლისი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
21:00	324	აეკ-პანათინაიკოსი	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	325	არისი-ატრომიტოსი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
		თურქეთი						
		29 თებერვალი						
22:00	334	კონია-ტრაბზონი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
		1 მარტი						
21:00	327	ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
15:30	330	კასიმპასა-გენჩლერბირლიგი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
		2 მარტი						
15:30	326	კაისერი-დენიზლი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
21:00	328	ბეშიქთაში-გალათასარაი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
15:30	329	ანკარა-გაზიანთეფი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
15:30	331	რიზე-ოფთასპორი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
17:00	333	ბურსა-სივასპორი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
		ჩეხეთი						
		1 მარტი						
20:00	344	ზლინი-ლიბერეცი	2.80	2.80	2.55	1.39	1.33	1.33
		2 მარტი						
18:00	343	პლზენი-ბანიკი	2.65	2.90	2.65	1.38	1.32	1.38
18:00	345	იაბლონეცი-კლადნო	1.55	3.50	5.70	1.07	1.21	2.16
20:00	346	ტეპლიცე-ბრნო	2.10	2.80	3.70	1.20	1.33	1.59
20:00	347	სლავია-მოსტი	1.20	5.20	10.50	1.00	1.07	3.47
23:15	348	ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი	2.00	3.00	3.70	1.20	1.29	1.65
20:00	350	ბოლესლავი-ბუდეიოვიცე	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
		3 მარტი						
20:15	349	სიგმა-სპარტა	5.50	3.30	1.60	2.06	1.23	1.07
		ესპანეთი. თასი						
		28 თებერვალი						
23:45	420	ხეტაფე-რასინგი	2.05	3.20	3.50	1.24	1.29	1.67
		ჰოლანდია. თასი						
		28 თებერვალი						
23:45	419	ფეიენოორდი-ზვოლე	1.25	4.80	9.00	1.00	1.09	3.13
		ჰოკეი. რუსეთი						
		28 თებერვალი						
16:00	540	ნოვოკუზნეცკი-აკ ბარსი	2.80	4.20	1.60	1.67	1.01	1.15
20:00	541	სპარტაკი-ცსკა	2.80	4.20	1.60	1.67	1.01	1.15
20:00	542	ვიტიაზი-ლოკომოტივი	2.50	4.20	1.80	1.56	1.04	1.25
13:00	543	ამური-ასკ	2.00	4.20	2.15	1.35	1.03	1.42
18:00	544	სიულაევი-მაგნიტოგორსკი	1.75	4.20	2.60	1.23	1.04	1.60
20:00	545	ნეფტეხიმიკი-მედ	1.55	4.40	3.20	1.14	1.04	1.85
18:30	546	ლადა-სევერსტალი	1.80	4.20	2.65	1.25	1.07	1.62
17:30	547	ტრაქტორი-ავანგარდი	2.40	4.20	1.90	1.52	1.06	1.30
17:00	548	სიბირი-ხიმიკი	3.00	4.20	1.65	1.75	1.06	1.18
20:00	549	ტორპედო-დინამო	3.20	4.30	1.55	1.83	1.04	1.13

შესაძლო ცვლილებები დაბაზისტთან ადგილზე

ვაა, დაბა?!

მარკოიშვილის სამიანი და მეორე წრე

„მე და ჩემი მოთამაშეები ძალიან გახარებულები ვართ ამ გამარჯვებით. ადრეც ვამბობდი და გამოჩნდა კიდეც, რომ საპლეიოფო მატჩები ძალიან რთული სათამაშოა. აქ განსაკუთრებული ტაქტიკაა საჭირო და საყურებლადაც უკეთესია, ვიდრე ჯგუფური თამაშები“ — თქვა მეთექვსმეტედფინალური სერიის მოგებმა „ბკ კიევის“ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა.

უკრაინული გუნდი ბელგიურ „ოსტენდეს“ საპასუხოდ მასპინძლობდა და შედარებით დაარხეინებული იყო, რაკი ერთი კვირის წინ სტუმრად გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. მანუჩარ მარკოიშვილის გუნდმა ბელგიაში 65:61 მოიგო და კიევში ამ უპირატესობის შენარჩუნება მართებდა.

თამაში თანაბარი გამოვიდა და საბოლოოდ ყველაფერი კიეველთა სასარგებლოდ დასრულდა. ბელგიელები მოწადინებით თამაშობდნენ და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ მასპინძლების გასატეხად ძალები არ ეყოთ.

კვანძი საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე გაიხსნა. ამ დროისთვის კიეველებმა ანგარიში გაათანაბრეს და დარჩენილ დროში სტუმრებს მინიმუმ ხუთქულიანი ჰანიკაპით მოგება ესაჭიროებოდათ, მაგრამ... მასპინძლებმა საბოლოოდ 68:60 მოიგეს და მერვედფინალში გაიკაკეს.

ქართველმა უკანახაზელმა 22 წუთი ითამაშა და 3 ქულას დასჯერდა. მარკოიშვილმა თამაშიდან ხუთივე სროლა ააცილა, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან 4-დან სამჯერ იხეირა. მანუჩარი შედარებით აქტიური იყო ფარქვეშ და კალათიდან ასხლეტილ ბურთს ოთხჯერ დაეპატრონა. მან თითო ჩაჭრა-პასიც მიითვალა.

კიეველთა მეტოქე მომდევნო ეტაპზე პოლონური „ტუროვი“ იქნება, რომელმაც ორრაუნდიან ჯახში ავსტრიულ „ნიმბრუკს“ მოუგო. რაკი „ტუროვმა“ ჯგუფურ ეტაპზე კიეველებზე უკეთესი შედეგი აჩვენა, პირველი შეხვედრა უკრაინაში გაიმართება, საპასუხო და გადამწყვეტი კი — პოლონეთში.

დანარჩენ წყვილებში გამოსარჩევია გერმანული „არტლენდის“ მოულოდნელი წარმატება. ეს გუნდი 13-ათასიანი დაბა კუკენბრიუკის ბინადარია და არათუ ევროსარბიელზე, გერმანიის ჩემპიონატშიც არ ასულა ასეთ სიმაღლეზე. „არტლენდმა“ მეთექვსმეტედფინალიდან რუსეთის ახალგაზრდა, თუმც ძალიან ძლიერი გუნდი „ტრიუმფი“ დაამარცხა. პირველი მატჩი გერმანიაში 81:75 მოიგო „არტლენდმა“, ხოლო საპასუხო შეხლაში „ტრიუმფმა“ ოდენ ორქულიანი უპირატესობით იმარჯვა და...

მერვედფინალის შემდეგ ულების თასისთვის ბრძოლა რვათა ფინალში გაგრძელდება, რომელსაც იტალიური ტურინი უმასპინძლებს.

მომდევნო საპლეიოფო წრის მატჩები 11 და 18 მარტს გაიმართება.

ირაკლი პერტაია

ულეგ-ის თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

დინამო (რუსეთი) 92:83 **შლიონსკი** (პოლონეთი) (78:85)
ვენსტპილსი (ლატვია) 55:73 *აკადემიკი* (ბულგარეთი) (67:64)
ბკ კიევი (უკრაინა) 68:60 **ოსტენდე** (ბელგია) (65:61)
ბკ კიევი: **მარკოიშვილი** (22 წუთი, 3 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)
ტუროვი (პოლონეთი) 68:66 **ნიმბრუკი** (ავსტრია) (61:61)
ხირონა (ესპანეთი) 78:57 **შალონი** (საფრანგეთი) (85:93)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) 78:73 *ჰემოფარმი* (სერბეთი) (56:82)
ტელეკომი (თურქეთი) 96:93 *უნიკსი* (რუსეთი) (65:91)
ტრიუმფი (რუსეთი) 82:80 *არტლენდი* (გერმანია) (75:81)
ხუვენტუდი (ესპანეთი) 77:56 **სვანსი** (შვედეთი) (89:59)
ხიმკი (რუსეთი) 96:69 **კიოლნი** (გერმანია) (91:72)
ზადარი (ხორვატია) 77:60 **აზოვმაში** (უკრაინა) (80:82)
ბეშიქთაში (თურქეთი) 73:53 **ჰაპოელი** (ისრაელი) (73:88)
ბენეტონი (იტალია) 82:83 *ცრვენა ზვეზდა* (სერბეთი) (71:81)
გალათასარაი (თურქეთი) 76:75 **ასველი** (საფრანგეთი) (69:69)
კანარია (ესპანეთი) 89:69 **ბოსნა** (ბოსნია) (82:89)
პამესა (ესპანეთი) — **პანიონიოსი** (საფრანგეთი) (59:70)

წუხელ გვიან დამთავრდა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ჩინეთის დიდი კედელი დაიჩოქა

იაო მინმა სეზონი დაასრულა



სეზონი დასრულდა იაო მინისთვის. „ჰიუსტონ როკეტსის“ ჩინელმა ცენტრმა ტერფის ისეთი ტრავმა მიიღო, რომ რამდენიმე თვეს ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

„ეს ისეთი ტრავმა არაა, რომლითაც თამაში შეიძლება, მას აუცილებლად უნდა ვუმკურნალოთ და, ჩემი აზრით, ოპერაციაც აუცილებელია“ — წარბშეჭმუხნული ამბობს გუნდის ექიმი, რომელმაც 226-სანტიმეტრიანი ჩინელის სავარაუდო სამკურნალო დროდ ოთხი თვე დათქვა.

გამოტოვებს თუ არა იაო მინი წლეულს აგვისტოში ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გასამართ ოლიმპიადას? ამჟამინდელი დასკვნით, თითქოს უნდა მოასწროს მანამდე გამოჯანმრთელება, მაგრამ რომ ვერ მოასწროს?

„ეს იქნება ჩემი ცხოვრების უდიდესი იმედგაცრუება — ამბობს მინი — მე უკვე რამდენიმე წელია, ვოცნებობ პეკინის ოლიმპიადაზე და არც კი მინდა, დავუშვა ის ფიქრი, რომ იქ ვერ ვითამაშებ.“

ფეხს აუჩქარე, მოხუცო!

26 თებერვალი

ჰიუსტონი 94:69 ვაშინგტონი
ჰიუსტონი: ჰედი (18), სკოლა (14)
ვაშინგტონი: ჯემისონი (18), იანგი (16)

ლეიკერსი 96:83 პორტლენდი
ლეიკერსი: ბრაიანტი (30 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ფარმარი (21), გასოლი (15 ქულა, 10 მოხსნა)
პორტლენდი: ოლდრიჯი (24), აუთლოო (18), ბლეიკი (17)

მემფისი 113:127 ფინიქსი
მემფისი: გაი (36), ნავარო (23)
ფინიქსი: ნეში (25 ქულა, 13 პასი), სტუდემაიერი (26), ჰილი (23), ბარბოსა (17), დიაუ (15 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ონილი (13 ქულა, 11 მოხსნა)

მილუოკი 105:102 კლივლენდი
მილუოკი: უილიამსი (37), რედი (25)
კლივლენდი: ჯეიმსი (35)

მაიამი 107:86 საკრამენტო
მაიამი: მერიონი (24), ჰაჰლემი (17), ვეიდი (15), ბლჰნტი (14)
საკრამენტო: ჰიუისი (16)

ნიუ ჯერსი 92:102 ორლანდო
ნიუ ჯერსი: კარტერი (26), ჯეფერსონი (20)
ორლანდო: ლუისი (25), თურქოღლუ (25), ჰოვარდი (17 ქულა, 10 მოხსნა)

მინესოტა 111:110 იუტა
მინესოტა: ჯეფერსონი (22 ქულა, 10 მოხსნა), მაკკანტსი (22), ფოი (20), გომესი (20 ქულა, 11 მოხსნა)
იუტა: ბუზერი (34), უილიამსი (18)

გოლდენ სტეიტი 105:99 სიეტლი
გოლდენ სტეიტი: ელისი (30), დევისი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)
სიეტლი: დურანტი (21), გრინი (21), კოლისონი (20 ქულა, 13 მოხსნა)



შაკილ ონილი

იაო მინი კი დაემტვრათ, მაგრამ ჰიუსტონელი „რაკეტები“ ისე დაფრინავენ, რომ ჩინელის გარეშეც უიოლესად დაბომბეს დედაქალაქელი „ჯადოქრები“. ეგ კიდევ არაფერი, „ვაშინგტონთან“ ჯახში მათი მეორე ვარსკვლავი ტრესი მაკგრეიდიც ვერ ჩანდა ფორმაში, სამ მეოთხედში 11 სროლიდან 9 გააცუდა და ექვსი ქულით შეაბიჯა ბოლო მეოთხედში, მაგრამ სანამ ტიმაკი საკუთარ თამაშს ეძებდა, მეორე თანრიგის ჰიუსტონელებმა დაჩაგრეს „ვაშინგტონი“, თან ისე, რომ განსაკუთრებით არავის გაუბრწყინია — 24:11 მოუგეს პირველი მეოთხედი და 27:11 გაანადგურეს მეორეში. თავად მინის პოზიციაზე კი 41 წლის ვეტერანთ-ვეტერანმა დიკემბე მუტომბომ ითამაშა, ვინაც 23 წუთში 6 მოხსნითა და 4 დაფარებით დაზაფრა ჯეელი ვაშინგტონელები. „ჰიუსტონისთვის“ ეს გამარჯვება ზედიზედ მე-13 იყო, ბოლო 18-ში კი მე-17.

შაკილ ონილის შემატების შემდეგ მეოთხე ცდიდან მეორე გამარჯვება მოიპოვა „ფინიქსმა“, თუმც მთლად უკბილო „მემფისთან“ 14-ქულიანი ზეობა დიდად საამაყოდ ვერ დაურჩება ჩემპიონობაზე მოფიქრალ გუნდს. ისე კი, სტივ ნეშმა და მისიანებმა ძველებური, ლაღი ბურთაობა გააჩაღეს და 127 ქულაც მოიხვეჭეს. ბეხრეკი შაკიც წვალებით ცდილობდა ტემპში აყოლას. ისე, 24 წუთში 13 ქულა და 11 მოხსნა კი გააკეთა და, რას ვერჩით. მოლიანობაში, ეს მისი საუკეთესო თამაში იყო ახალ გუნდში. „ფინიქსის“ თავკაცმა მაიკ დანტონიმაც აღნიშნა, ფარქვეშ კარგად გაითარჯაო, მერე კი დასცინა, შაკი შაკია და არც გვიჯერია, დაცვაში მეტოქეთა სამქულიანების მსროლელების გასანეიტრალებლად გამოგვეყენებინა. ეგაა, ცოტა დრო დასჭირდება, ჩვენებრ სწრაფ გუნდთან შესაგუებლადო.

მცირე სენსაცია გამოცხვა მილუოკში, სადაც მსუბუქწონიანმა დამხვდურმა „ბაქსმა“ მძიმეწონოსანი მომხდური „კავალიერზი“ უკუაგდო. „კავალერიას“ თავისთავად, ლებრონ ჯეიმსი სარდლობდა და 35 ქულაც აძგერა მილუოკელ „ხარირმებს“. მაგრამ ამათაც გამოუჩნდათ წინამძღოლი, მო ულიამსმა 37 ქულა გააკეთა, მაიკლ რედმა კი 25 მიაშველა. ასეთი უცნაური გუნდია ეს „მილუოკი“ — პლეი ოფში ვერ გავა, მაგრამ უკვე იმდენი ბობოლის გაბითურება მოასწრო, მასზე ბევრად ღონიერები რომ ვერ ახერხებენ.

დაბოლოს, გულითადი მილოცვა „მაიამის“! ედიზედ 11 მარცხის შემდეგ მოგება ელირსათ 2006 წლის ჩემპიონებს. ფლორიდელებმა „საკრამენტო“ მიიწყვდიეს, „ფინიქსიდან“ შაკილ ონილის ნაცვლად მიყვანილი შონ მერიონი იწინამძღოლეს და 31:11 მოგებული მესამე მეოთხედის წყალობით, ზედიზედ წაგებათა სამარცხვინო ჯაჭვიც გაწყვიტეს.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი				NBA
ატლანტიკა				
ბოსტონი	43	12	78,2	NBA
ტორონტო	31	24	56,4	NBA
ნიუ ჯერსი	25	32	43,9	NBA
ფილადელფია	25	32	43,9	NBA
ნიუ იორკი	17	39	30,4	NBA
ცენტრალური				
დეტროიტი	42	15	73,7	NBA
კლივლენდი	32	25	56,1	NBA
ჩიკაგო	22	34	39,3	NBA
მილუოკი	22	35	38,6	NBA
ინდიანა	22	35	38,6	NBA
სამხრეთ-აღმოსავლეთი				
ორლანდო	37	22	62,7	NBA
ვაშინგტონი	27	30	47,4	NBA
ატლანტა	22	32	40,7	NBA
შარლოტი	19	37	33,9	NBA
მაიამი	10	44	18,5	NBA

დასავლეთი			
სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	38	17	69,1
ნიუ ორლეანი	37	18	67,3
დალასი	38	19	66,7
ჰიუსტონი	37	20	64,9
მემფისი	14	43	24,6
ჩრდილო-დასავლეთი			
იუტა	36	21	63,2
დენვერი	33	23	58,9
პორტლენდი	29	28	50,9
სიეტლი	15	41	26,8
მინესოტა	12	43	21,8
წყნარი ოკეანე			
ლეიკერსი	40	17	70,2
ფინიქსი	39	18	68,4
გოლდენ სტეიტი	34	22	60,7
საკრამენტო	26	30	46,4
კლიპერსი	19	35	35,2

გამოსათხოვარი

დღეს უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, კაცს, რომელიც ბურჯად ედგა ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას.

ბატონი ბადრი პატარკაციშვილი 2004-2007 წლებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო. მანამდე კი სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტისა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლის სტატუსით გვერდში ედგა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ მოძრაობას. წარმატებები, მოპოვებული 2004 წელს ათენში, ხოლო — შემდეგ მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, მნიშვნელოვნად იყო განპირობებული უშუალოდ მისი ძალისხმევით და თანადგომით.

როდესაც ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას ძალზედ უჭირდა და ფაქტობრივად, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე იდგა, ბატონი ბადრი მას მხსნელად მოევლინა.

2002 წელს მისი ინიციატივით დაარსებულმა ოლიმპიურმა ფონდმა ქართულ სპორტს დიდი ამაგი დასდო და მრავალი სასიკეთო საქმე გაუკეთა. მარტო ის რად ღირს, რომ წლების მანძილზე სპორტსმენები, მწვრთნელები, ვეტერანი ოლიმპიელები და სპორტული ჟურნალისტები, მედიცინის მუშაკები, მრავალი ათეული ადამიანი, ყოველთვიურად იღებდა ფონდის სოლიდურ სტიპენდიას.

მისი ინიციატივით მრავალი ისეთი პროექტი განხორციელდა, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში. მათ შორის აღსანიშნავია „ოლიმპიური ენციკლოპედია", კრებული „სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში", 13-სერიანი დოკუმენტური ფილმი „ათენიდან-ათენამდე", ათეულობით წიგნი სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკაზე.

ბატონი ბადრი პატარკაციშვილის სახელს უკავშირდება ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების - XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენებისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი, საერთაშორისო რეზონანსის მქონე ხაიუბილეო ღონისძიებები, ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვანი თარიღის ღირსეულად აღნიშვნა.

სამწუხაროა, და ჩვენ გულწრფელ სინანულს გამოვთქვამთ, რომ უამრავი სასიკეთო საქმის საპასუხოდ ისეთ ადამიანს, როგორიც ბადრი პატარკაციშვილია, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ნებსით თუ უნებლიედ, სპორტული სამყაროს ერთმა ნაწილმა გული ატკინა, ამაგი არ დაუფასა, მის მიმართ უმადურობა გამოიჩინა...

დიდი დაკავებულობის გამო ბატონი ბადრი იშვიათად სტუმრობდა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სეოკ-ის ოფისს — ყველა ოლიმპიური საკითხი მის რეზიდენციაში იხილებოდა და წყდებოდა. მაგრამ რაოდენ დაუვიწყარია სეოკ-ის თანამშრომლებთან შემდგარი შეხვედრები! თითოეული მათგანის მიმართ ის იყო ყურადღებიანი, ურთიერთობაში უბრალო, შესანიშნავად მოსაუბრე, ხალასი იუმორით აღსავსე.

ბატონო ბადრი, გემშვიდობებით. დიდი მადლობა იმ საქმეებისთვის, რომლებიც გააკეთეთ ქართული კულტურისა და სპორტის საკეთილდღეოდ.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური ქართული მიწა!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომლები

რევაზ მინდორაშვილი, ზაზა თურმანიძე, კახა გეწაძე და გიორგი გოგშელიძე

ბადრი პატარკაციშვილი

უკრაინით კმაყოფილი ნაკრები

22-24 თებერვალს კიევში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის. უკრაინულ ხალიჩაზე საქართველოს ნაკრებმა ორი მედალი მოიპოვა. ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე გახდა (96 კგ), ბრინჯაოს მედალი კი რევაზ მინდორაშვილმა (84 კგ) დაისაკუთრა. ნაკრები თბილისში დაბრუნდა და ახლა მოსამზადებელ შეკრებაზე ბორჯომში წავა, ევროპის ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში რომ შეხვდეს. ევროპირველობას ფინეთი 1-6 აპრილს უმასპინძლებს. გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე, ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე და მოჭიდავეები, გიორგი გოგშელიძე და რევაზ მინდორაშვილი შეხვდნენ.

კახა გეწაძე: უკრაინაში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირი ერთ-ერთი უძლიერესია. კიევში თავი 30-მდე ქვეყნის წამყვანმა მოჭიდავეებმა მოიყარეს. იქ ისეთმა ბიჭებმა იჭიდავეს, რომლებიც ოლიმპიადისთვის ემზადებიან, ზოგი კიდევ საკუთარ ნაკრებში არსებული კონკურენციის დაძლევას ცდილობს და ამიტომაც თავს არ ზოგავს. ასე რომ, ეს ორი მედალი კარგი შედეგია. ბიჭები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ და ოლიმპიადას სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდნენ. ჩვენი მიზანია, რომ ჩინეთში უმაღლესი სინჯის მედლებისთვის ვიბრძოლოთ.

ზაზა თურმანიძე: ამ ეტაპზე მთავარი მიზანი ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადებაა, საც ჩემპიონები ლიცენზიასაც მიიღებენ. 2 საგზური გვაქვს და ეს მაჩვენებელი საკრძნობლად უნდა გავზარდოთ. თუ ევროპაზე საუკეთესო ლიცენზირებული მოჭიდავე გახდა, მაშინ ლიცენზიას მომდევნო დაიკავებს და ასე შემდეგ. უკვე ევროპირველობის მერე ორი სალიცენზიო ტურნირი გველის შვეიცარიასა და პოლონეთში, სადაც მეტი საგზური გაიმამშდება. ერთგან პირველ ოთხეულს შეხვდება საგზურები, მეორეგან კი — ფინალისტებს და მესამეადგილოსნებს შორის უკეთესს.

რაც შეეხება კიევის ტურნირს, მთლიანობაში ნაკრების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიჭების მომზადება ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე იყო გათვლილი — ბოლო მომენტამდე სომხეთში 2500 მეტრ სიმაღლეზე ვვარჯიშობდით და ხალიჩასთან შეხება არ გვქონია.

ეს მედლები ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბიჭები საკუთარ ძალებს ირწმუნებენ. სასიხარულოა, რომ ნაკრებში კონკურენციაც საკმაოდ დიდია.

გიორგი გოგშელიძე: ფედერაცია და მწვრთნელები სწორი მიმართულებით მუშაობენ. ყველაფერი ზუსტად არის გათვლილი. ეს ამ ტურნირმაც ცხადყო. ჩვენც ვაკრძელებთ მომზადებას ლიცენზიების მოსაპოვებლად.

რევაზ მინდორაშვილი: ლიცენზიასაც ავიღებ და ოლიმპიადაზეც კარგად გამოვალ. საამისოდ არაფერს დავიშურებ.

ლექსო მაისურაძე

ცირეკიძე ისევ თავში და კედელაშვილი კუბელის მეზობლად

ევროპის ძიუდოს კავშირმა გამოაქვეყნა 2008 წლის მსოფლიოს ახალი რეიტინგი. ქართველ ფალავანთაგან თავიანთი წონების ხუთეულებში მხოლოდ ირაკლი ცირეკიძე, ზაზა კედელაშვილი და ლევან ჟორჟოლიანი მოხვდნენ. ცირეკიძე კვლავ პირველია, კედელაშვილს და იორდანიის არენსუბიას თანაბარი ქულები აქვთ და პირველ ადგილზე არიან ჩაზიარებულნი, ხოლო ჟორჟოლიანს მეხუთე პოზიცია უკავია. მეექვსეა ჩვენი მძიმეწონასანი ლაშა გუჯეჯიანი. ტომით ქართველი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური) ორ სხვადასხვა წონით კატეგორიაში სამეულებში ირიცხება.

ზურაბ მიგრიაული

ზაზა კედელაშვილი

ბადრი კედელაშვილის ფოტო

60 კგ	
1. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)	174
2. რუბენ ჰუქსი (ჰოლანდია)	157
3. ჰოვანე დავთიანი (სომხეთი)	150
4. ჰიროაკი ჰირაოკა (იაპონია)	140
5. მინ ჰო ჩოი (კორეა)	125
7. ნესტორ ხერგიანი	118
46. ვახტანგ ხოსიტაშვილი	17
78. ამირან პაპინაშვილი	4
108. უშანგი კუზანაშვილი	2
66 კგ	
1-2. იორდანის არენსუბია (კუბა)	150
1-2. ზაზა კედელაშვილი	150
3. ჟოაუ დერლეი (ბრაზილია)	149
4. მიკლოშ ანგვარი (უნგრეთი)	135
5. ოსკარ პენასი (ესპანეთი)	125
52. მინდია ხომიზური	14
66. სანდრო იაკობაშვილი	8
78. ვახტანგ ხოსიტაშვილი	5
97. უჩა ხუციშვილი	3
117. ნესტორ ხერგიანი	2
133. გიორგი ფერსაშვილი	1
73 კგ	
1. ელნურ მამადლი (აზრბაიჯანი)	205
2. რასულ ბოკიევი (ტაჯიკეთი)	130
3. კი ჩან ვანგი (კორეა)	117
4. დირკ ვან ტიჩელტი (ბელგია)	115
5. სერგეი ტომა (მოლდოვა)	100
17. დავით ქევხიშვილი	53
40. დავით კუპრაშვილი	24
71. დავით ბოდაველი	7
77. ზაზა კედელაშვილი	5
77. გივია წიკლაური	5
96. მინდია ხომიზური	3
115. თენგიზ პაპოშვილი	2
115. ზურაბ დილებაშვილი	2
131. დავით კობერიძე	1
81 კგ	
1. ტიაგო კამილო (ბრაზილია)	148
2. ევან ბარტონი (დიდი ბრიტანეთი)	135
3. ალჯაზ სედეჯი (სლოვენია)	130
4. რომან გონტიუკი (უკრაინა)	114
5. ალიბეკ ბაშკაევი (რუსეთი)	110
12. გიორგი ბაინდურაშვილი	80
25. საბა გავაშელიშვილი	37
35. გრიგორ შინჯიკაშვილი	24
50. ლევან წიკლაური	13
108. ხვიჩა ხუციშვილი	2
108. გრიგოლ მამრიკიშვილი	2
90 კგ	
1. ირაკლი ცირეკიძე	194
2. ილიას ილიადისი (საბერძნეთი)	180
3. კასანბი ტაოვი (რუსეთი)	142
4. ჰიროში იზუმბი (იაპონია)	111
5. სერგეი აშვანდენი (შვეიცარია)	96
14. ზურაბ ზვიადაური	70
18. ვალერი ლიპარტელიანი	66
83. სოსო მსხალაძე	3
83. დავით ლორიაშვილი	3
97. ბესიკ ტყემალაძე	2
100 კგ	
1. ჰენკ გროლი (ჰოლანდია)	185
2. დანიელ ჰადფი (უნგრეთი)	152
3. ილიას ილიადისი (საბერძნეთი)	127
4. ორეიდის დესპალჯნე (კუბა)	122
5. ლევან ჟორჟოლიანი	120
17. ლევან რაზმაძე	67
43. ნოდარ მეტრეველი	18
46. გიორგი ყიზილაშვილი	14
+100 კგ	
1. ტედი რინერი (საფრანგეთი)	256
2. ტაშერლან ტმენოვი (რუსეთი)	160
3. აბდულო ტანგრევი (უზბეკეთი)	140
5. ალექსანდრე მიხაილინი (რუსეთი)	135
5. მარტინ პადარი (ესტონეთი)	102
6. ლაშა გუჯეჯიანი	95
18. ზვიად ხანჯალიაშვილი	56
22. ადამ ოქრუაშვილი	45
44. ლევან რაზმაძე	17
57. გიორგი ყიზილაშვილი	6

ᲕᲘᲜᲣᲡᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲨᲔᲔᲣᲧᲐᲠᲐ


ანა ჩაკვეტაძე

ᲐᲛ კვირის ტურნირებიდან უმთავრესი და უდავოდ ყველაზე საინტერესო დუბაიში დაწყებული ქალთა შეჯიბრია, სადაც ყველა ბობოლამ მოიყარა თავი და წესით, აზიაში მაგარი ბრძოლები იქნება. თუმც ყველამ მაინც არა — ტრავმის გამო თამაშზე უარი თქვა ოთხი დღის წინ დოჰაში გაჩემპიონებულმა მარია შარაპოვამ. რუს პრიმას ყატარის ტურნირიც ტრავმით ჩაუმთავრებია და დუბაიში ჩოგნაობით, მის გამიზეზებას მოერიდა. სამაგიეროდ, ჯანზე მოსვლა მოასწრო ანა ივანოვიჩმა, რომელმაც ათიოდ დღის წინ ლამის ფეხი იღრძო, მაგრამ ახლა თამაშისთვის მზად ყოფილა და პირველ ტესტს ნიკოლ ვაიდიშოვასთან ჩაბარებს.

აქ მომხდარი სხვა ამბებიდან კი ჯერ მხოლოდ რუსთა წინსვლაა აღსანიშნი — სვეტლანა კუზნეცოვა და ანა ჩაკვეტაძე უკვე მეოთხედფინალში არიან. უფრო მეტად მაინც კუზნეცოვას თამაშია გამოსაყოფი. ამ რუსმა სეზონი ამაზრზენად დაიწყო, ჯერ ავსტრალიაში ჩაფლავდა და მას შემდეგაც მთვარეულივით გამოიყურება, მაგრამ ახლა კარგად დაიწო და ლუსი შაფაროვას მზოლოდ სამი გეიმი ააღებინა. დოჰაში პირველ წრეში წაგების შემდეგ გონს მოსულა ჩაკვეტაძეც, რომელმაც გზად უკვე ორი საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჩამოიცილა აგნუშკა რადვანსკასა და დინარა საფინას სახით.

გუშინდელი დღის უმთავრესი მოვლენა კი მემფისში მოხდა, სადაც ქალთა ტურნირის პირველ-მეორე ნომრები დაიფრინეს. კერძოდ, წააგო მოქმედმა ჩემპიონმა ვინუს უილიამსმა, რომელსაც ბოლო კვირეებია, საქმე სულ უკან-უკან მისდის. ეტყობა, ამერიკელმა მიზნად ახალგაზრდა მეჩოგნეთა დახმარება განიზრახა — ჯერ იყო და, დოჰაში დომინიკა ციბულკოვასთან წაგო, გუშინ კი ფარ-ხმალი პეტრა კვიტოვასთან დაყარა, რომელიც ორიოდე დღის წინ შესრულდა 18 წლის. კვიტოვა ჩეხია და რამდენიმე კვირის წინ ვახსენეთ კიდეც, როცა პარიზის ტურნირზე ანაბელ მედინა-გარიგესს მოუგო და შემდეგ ელენა დემენტიევას ეომა. თუმც თინეიჯერმა ჩეხმა ახლა გაცილებით დიდ მიზანს მოარტყა და თვით ვინუსი ამოაყირავა — თანაც კვიტოვამ პირველი სეტი წააგო და მერე მაინც იმარჯვა, რაც სლავის ამ მიღწევას კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის.

მემფისიდან დაითხოვეს ტატიანა გოლოვონიც, რომელიც ბეტანი მატეკმა ორ სეტში დამაჯერებლად მიჩოგნა. ფრანგს კი სტაბილურობა არაფრით ეღირსა და ამიტომაცაა ტოპათეულს ვერაფრით რომ ვერ მიუახლოვდა.

ნაკლებად საინტერესო ამბებია კაც მეჩოგნეთა სამყაროში — ამ კვირას ბობოლათა დიდი ნაწილი ისვენებს და ნელ-ნელა ოკეანისგაღმეთში გასამგზავრებლად ემზადება. მალე იანკთა მიწაზე წლის პირველი ორი მასტერსი გათამაშდება და საჩოგბურთო ეპიცენტრიც მთლიანად იქ გადაინაცვლებს. ახლა კი ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღება ზაგრებს, მემფისსა და აკაპულკოს შორის ნაწილდება.

ზაგრებული ამბებით დავიწყოთ, სადაც ადგილობრივ გულშემატკივრებს სიხარულის მიზეზი ბლომად აქვთ, რადგანაც პირველი წრე წარმატებით გადალახეს ივან ლიუბიჩიჩმა, მარიო ანჩიჩმა და მარინ ჩილიჩმა. თუმც ხორვატებს ხასიათი ოდნავ ჩაუშხამა აყლაყუდა ივო კარლოვიჩმა, რომელიც სრულიად მოულოდნელად დამარცხდა ნაკლებად ცნობილ უკრაინელ სერგეი სტახოვსკისთან.

სამაგიეროდ, ბობოლები უკლებლივ მიიწევენ წინ მექსიკურ აკაპულკოში. მათი სათითოდ ჩამოთვლა და გამოყოფა ახლა ნაღდად არ ღირს, რადგანაც ყველამ ადვილად იმარჯვა — ჩვენ მხოლოდ გილერმო კანასზე გეტყვით და ისიც იმიტომ, რომ არგენტინელმა სეზონში თავისი პირველი შეხვედრა ითამაშა. კანასმა სამ სეტში დიდი წვალებით შეძლო თანამემამულე კარლოს ბერლოკის გატეხვა.

ტრავმით დავიწყეთ და ამითვე გვიწევს დასრულება — მემფისში ვერ ითამაშებს მეორე ნომრად განთესილი ჯეიმს ბლეიკი. ამაზე საინტერესო კი ელვის პრესლის მშობლიურ ქალაქში მიმდინარე ტურნირზე ჯერ არაფერი მომხდარა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲙᲐᲚᲐᲨᲜᲘᲙᲝᲕᲐᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲐᲘᲡᲠᲝᲚᲐ

ᲝᲥᲡᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲨᲜᲘᲙᲝᲕᲐᲛ ეგრეც ვერ მოახერხა გერმანიის ქალაქ ბუხენის ხალიჩაზე ჩოგბურთის საერთშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრა.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ჩვენებურმა 7:5 6:4 მოუგო სლოვენიელ ანია პრისლანს, მაგრამ მეორე და გადამწყვეტ შეხვედრაში 5:7 6:4 3:6 წაგო 17 წლისა და WTA-ს რეიტინგის 529-ე პოზიციაზე მყოფ სლოვაკ კრისტინა კუსოვასთან და შეჯიბრი ნაადრევად დაასრულა.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ
Mobil 1
№ 1 ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲖᲔᲗᲘ

ლუის ჰემილტონი

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲛᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, „ფერარი“ სეზონის უმთავრესი ფავორიტი იყოს, მაგრამ 2008 წლის ჩემპიონატისწინა ბოლო ტესტებზე, რომელიც ბარსელონაში ტარდება, „ალისფერებზე“ სწრაფები „მაკლარენები“ არიან.

„კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე მიმდინარე ტესტ-სესიის მეორე დღეს, როგორც იქნა, მზემ გამოანათა, ასფალტი აბსოლუტურად მშრალი იყო და ისევე, როგორც წინა დღეს, საუკეთესო დრო ამჯერადაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ინგლისელმა ლუის ჰემილტონმა აჩვენა — წუთი და 21.234 წამი. თანაგუნდელს ზუსტად 0,2 წამით ჩამორჩა ფინელი ჰეიკი კოვალაინენი და 1.21,722 შედეგით, მხოლოდ მესამე იყო კოვალაინენის თანამემამულე, ფერარელი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი.

„ფერარის “ მეორე ბოლიდს, რომელსაც წინა დღეს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი უჯდა, ამჯერად ფელიპე მასა მართავდა. ბრაზილიელმა 102 წრე გააკეთა და მისი საუკეთესო დრო — 1.22,513 მხოლოდ მეხუთე იყო. მის წინ „უილიამსის“ გერმანელი ნიკო როსბერგი (1.22,513) აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ჩემპიონატის დებიუტანტი გუნდის, „ფორს ინდიას“ იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას (1.22,516) მეექვსე შედეგი და ისიც, რომ „BMW-ზაუბერისა“ და „რენოს“ ხალხი მეორე ეშელონში აღმოჩნდა — გერმანული საჯინიბოდან რობერტ კუბიცა მერვე იყო, ნიკ ჰაიდფელდი კი მეთხუთმეტე, ხოლო „რენოს“ პილოტებმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ და ნელსონ პიკე უმცროსმა, შესაბამისად, მე-13 და მე-18 ადგილები დაიკავეს.

მიხაელ შუმახერი კი, რომელმაც წინა დღეს ბლომად წრეები დაარტყა კატალონიურ ავტოდრომს, აღფრთოვანებულია „ფერარის“ ახალი ბოლიდით. „პროგრესი აშკარაა, თანაც ყველა მიმართულებით. გული მიგრძნობს, რომ „სკუდერია“ ძნელად არის, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს — განაცხადა დიადმა გერმანელმა, თუმც იქვე დაამატა — წლევანდელი ჩემპიონატი ორი გუნდის, „ფერარისა“ და „მაკლარენის“ დუელი იქნება. უკან კიდევ რამდენიმე გუნდია, მაგრამ მათი რეალური ძალის შეფასება, ჯერჯერობით სარისკო საქმეა“.

ამასობაში, „ფერარის“ შეფმა ლუკა დი მონტეზემელომ შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „სკუდერიას“ ბანაკში ერთგვარი ეიფორია სუფევს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონურ ტესტებზე ყველაზე სწრაფები „მაკლარენის“ პილოტები არიან.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენი პილოტები ახალ მანქანას კონკურენტუნარიანად თვლიან, მაგრამ ღონეებში არ უნდა ვიფრინოთ. წინ დაძაბული სეზონის გველის, რომლის დაწყებამდეც ოციოდე დღეა დარჩა და ამ დროს, რაღაც ძალიან გადამეტებულ ოპტიმიზმს ვგრძნობ „ფერარის“ თანამშრომლებთან მხრიდან — თითქოს, ჩემპიონობისთვის, მხოლოდ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ“ — განაცხადა ლუკა დი მონტეზემელომ.

ფერარელთა მთავარი მეტოქის ბანაკში კი ყველაფერი რიგზე ვერ არის. ყოველ შემთხვევაში, ესპანური „მარკა“ ირწმუნება, რომ უახლოეს მომავალში „მაკლარენის“ შეფი რონ დენისი აღარ იქნება. „ზეთის ცნობით, ამის მოსურნეა „მაკლარენის“ ძრავებით მომმარაგებელი „მერსედესი“, რომელსაც გუნდის აქციების 40 პროცენტი ეკუთვნის (თავად დენისის ხელში, მხოლოდ 15 პროცენტიღაა დარჩენილი) და რომლის ბოსებსაც დღემდე ვერ უპატიებიათ რონისთვის შარშანდელი მარცხი და ამ მარცხით გამოწვეული 200-მილიონევროიანი ზარალი.

როგორც „მარკა“ ვარაუდობს, დენისი „მაკლარენში“ დარჩება, ოღონდაც, რაღაც საპატიო სტატუსით და გუნდის მართვის სადავეები მის ხელში აღარ იქნება.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲔ

ᲒᲘᲐ ᲜᲘᲭᲐᲠᲐᲫᲔᲡ ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲔᲡ

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ოთხი წლით გია ნიჭარაძე გახდა და ევროპაში რაგბის განვითარების საბჭოს პრეზიდენტმა ჟან კლოდ ბაკემ ჩვენი რაგბის ახალ თავკაცს პირადად მიულოცა

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ,

პირველ რიგში, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოს რაგბის კავშირში; გისურვებთ დიდ წარმატებებს და იმედი მაქვს, რომ მალე მომეცემა საშუალება, პირადად მოგილოცოდ ამ თანამდებობაზე თქვენი არჩევა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვახსენო უდიდესი მადლობა ბატონ მერაბ ანთაძეს საუცხოო თანამშრომლობისთვის ბოლო 4 წლის მანძილზე, რისწყალობითაც საქართველო შეუერთდა ჭეშმარიტად ძლიერი სარაგბო ქვეყნების წრეს.

გთხოვთ, გადასცეთ მას ჩემი მხრიდან გულთბილი და მეგობრული მოკითხვა.

რაც შეეხებათ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მოუთმენლად ველი თქვენთან, რაც შეიძლება, მალე შეხვედრას.

ულრმესი პატივისცემით,
ჟან კლოდ ბაკე

რისკიანი პინგვინები ლიგაში ბაზარი დაიხურა

ადამ ფუტი კოლორადოში დაბრუნდა

გუშინ ნჰლ-ში დედლაინი იყო ანუ ბოლო დღე, როცა ჯერაც ნებადართულია ჰოკეისტების გაცვლა-გამოცვლა. დღეიდან 1 ივლისამდე ვერც ერთი კლუბი ვერც ერთ მოთამაშეს ვერ დაიმატებს თავისუფალ აგენტთა ბაზრიდან, ვერც სხვა ჰოკეისტში გაუცვლის სხვა გუნდს და ვერავის მოელაპარაკება კონტრაქტის გახანგრძლივებაზე.

დედლაინი საერთოდ იმიტომაა ხოლმე გამორჩეული, რომ სწორედ ამ ბოლო დღეს ყველაზე მეტი ტრეიდი ხდება. თუმც წლეულს შარშანდელისგან, ანაც შარშანწინანდელისგან განსხვავებით, უფრო სიწყნარე იყო — ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვეულზე მეტ გუნდს შერჩა პლეი ოფში გასვლის იმედი და ამიტომ ბევრმა თავის ჰოკეისტთა გასხვისებისგან თავი შეიკავა.

ამის მიუხედავად, რამდენიმე ხმაურიანი და მნიშვნელოვანი ტრეიდი მაინც განხორციელდა.

გუშინდელი დღის უმთავრესი მოვლენა მარიან ჰოსას „ატლანტადან" „პიტსბურგში" გადაბარგება გახლდათ. ჯორჯიელებს მოუწიათ თავიანთი ერთ-ერთი ლიდერის გასხვისება — სლოვაკი, რომელსაც წლეულს კონტრაქტი უმთავრდება, მაინც არ აპირებდა გუნდში დარჩენას და „ტრეშერზმაც" ჰოსას ტყუილად გაშვებას ახლავე გაცვლა და ამით ხეირიანი კომპენსაციის მიღება ამჯობინა. კომპენსაცია კი იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე ვინმე ივარაუდებდა. „ატლანტამ" თავდამსხმელები — კოლბი არმსტრონგი და ერიკ კრისტეანსენი, ახალგაზრდა ტალანტი ანჯელო ესპოზიტო და 2008 წლის დრაფტზე პირველი არჩევანის უფლება მიიღო. „პინგვინებმა" კი ჰოსასთან ერთად თავდამსხმელი პასკალ დუპუიც დაისაკუთრეს.

ამ ტრეიდით „ატლანტა" წაგებული ნამდვილად არ დარჩენილა, „პიტსბურგმა" კი მაგრად გარისკა. გარისკა იმიტომ, რომ ნაკლებ სავარაუდოა, ანტარქტიდის ბინადრებმა ზაფხულში ჰოსას შენარჩუნება შეძლონ, რომელიც, მინიმუმ წელიწადში 7-მილიონიან კონტრაქტს მოითხოვს, ხოლო მხოლოდ სეზონის მესამედსა და პლეი ოფისთვის ძირითადის ორი ჰოკეისტის და სისტემაში მყოფი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშის დათმობა ბევრმა სისულელედ ჩათვალა.

„პიტსბურგი" მხოლოდ ამაზე არ გაჩერებულა და პლეი ოფის წინ დაცვასაც მიხედა, „ტორონტოდან" ჰელ გილი გადაიყვანა.

დღის მეორე დიდი მოვლენა ტამპელი ბრედ რიჩარდსის „დალასში" გადასვლა გახლდათ. „ელვებმა" თავის ერთ-ერთ ლიდერთან ერთად მეკარე იოჰან ჰოლმკვისტიც გაუშვეს, ტეხასიდან კი თავდასხმელები იუსი იოკინენი და ჯეფ ჰალპერინი, აგრეთვე ახლაგაზრდა კიპერი მაიკ სმიტი წაიყვანეს. აი, აქ კი იმის თქმა ძნელია, ვინ დარჩა მოგებული — ამას მხოლოდ დრო აჩვენებს, ახლა კი ორივე კმაყოფილია. „ტამპამ" ლიდერი კი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ რიჩარდსის 7,5 მილიონიანი კონტრაქტი მოიშორა თავიდან, რაც გუნდის გენერალურ მენეჯერ ჯეი ფისტერს ზაფხულში სამოქმედოდ ხელებს გაუხსნის. თანაც „ელვებს" განსაკუთებით სმიტის ეიმედებათ, რომლის სახითაც ეგებ იპოვეს კიდეც სტაბილური მეკარე. „დალასმა" კი პლეი ოფის წინ სახელიანი და გამოცდილი ვარსკვლავი დაიმატა — ტეხასში ფიქრობენ, რომ რიჩარდსის მოსვლით მაიკ მოდანოც ძველებურად ათამაშდება.

ვერაფრით ახერხებს ლიდერების შენარჩუნებას „ბუფალო" — ზაფხულში კრის დრურის და დანიელ ბრიარის გაშვების შემდეგ გუნდმა შეთანხმებას ვერც საუკეთესო მცველ ბრაიან კემპელთან მიაღწია და იძულებული გახდა, დედლაინზე გაეცვალა. მოკლედ, კემპბელი „სან ხოსეს" მიმართულებით გაემგზავრა, რითაც კალიფორნიული გუნდის სათასო შანსები გვარიანად გაიზარდა, „ბუფალომ" კი თავდამსხმელი სტივ ბერნე და დრაფტზე პირველი არჩევანი მიიღო.

მარიან ჰოსა ტლანტადან პიტსბურგში გადაბარგდა

„ვაშინგტონი" კი ნელ-ნელა ნჰლ-ის ყველაზე რუსულ გუნდად იქცევა — დედაქალაქელებმა თავიანთ ახალგაზრდა ვარსკლავებს, ალექსანდრ ოვეჩკინსა და ალექსანდრ სიომინს გვერდზე გამოცდილი თანამემამულე ამოუყენეს სერგეი ფიოდოროვის სახით.

ნელ-ნელა ძველ სახეს იბრუნებს „კოლორადო", რომელმაც ლოკაუტის შემდეგ გაშვებული თითქმის ყველა ლიდერი დაიბრუნა — „ზავებმა" კონტრაქტი გაუფორმეს პეტერ ფორსბერგს და „კოლუმბუსიდან" დაიბრუნეს მცველი ადამ ფუტი. ძნელი სათქმელია, მთელი წლის განმავლობაში უთამაშებელი ფორსბერგი გამოადგებათ თუ არა, მაგრამ ფუტის ძალისმიერი თამაში გუნდს ბოლო წლებში აშკარად აკლდა. „კოლორადომ" კიდევ ერთი სვლა გააკეთა, როცა „ფლორიდას" ბელარუს რუსლან სალეიში ლატვიელი კარლის სკრასტინში გაუცვალა.

დედლაინზე აქტიურობა იყო მოსალოდნელი კანადური გუნდებიდან, მაგრამ ექვსივემ გაჩუმება ამჯობინა. „ოტავამ" „ჩიკაგოდან" ვეტერანი მარტინ ლაპოინტი წამოიყვანა, „ვანკუვერმა" მეტ პეტინვერის სანაცვლოდ „ვაშინგტონს" მეტ კუკი გადაულოცა, „კალგარი" კი საერთოდ უქმად იყო. ნახევარი გუნდის გაყიდვას აპირებდა „ტორონტო", მაგრამ კაპიტანმა მატს სუნდინმა წასვლაზე უარი თქვა და გუნდში სხვა ლიდერებიც დარჩნენ. ყველაზე უცნაური კი მაინც „მონრეალის" სვლა გამოდგა, რომელმაც ფაქტობრივად თავიდან მოიშორა ძირითადი მეკარე კრისტობალ ოუე და ის „ვაშინგტონს" გადაულოცა, ოდენ დრაფტზე მეორე წრის არჩევანის საფასურად. შედეგად, „კანადიენსი" პლეი ოფს ორი გამოუცდელი მეკარით, კორი პრაისითა და იაროსლავ ჰალაკით ხვდება.

მხოლოდ დაცვაზე იზრუნეს დასავლელმა ბობოლებმა, „დეტროიტმა" და „ანაჰაიმმა". კალიფორნიელებმა მარკ-ანდრე ბერჟერონი გამოსტყუეს „ნიუ იორკ აილენდერს", მიჩიგანელებმა კი „ლოს ანჟელესიდან" 28 წლის ბრედ სტიუარტი დაიმატეს.

კახა ლოგაშვილი

რეგულარული ჩემპიონატი

26 თებერვალი

ვაშინგტონი 4:1 მინესოტა
2:0 2:1 0:0
1:0 ლეიჩი (3), 2:0 მორისონი (11), 2:1 რადივოევიჩი (34), 3:1 ფერი (36), 4:1 ლეიჩი (39)

აილენდერსი 2:4 პიტსბურგი
0:2 1:0 1:2
0:1 მალკინი (11), 0:2 ტეიფი (18), 1:2 ნილსონი (31), 1:3 სტაალი (53), 1:4 ჯეიმსი (57), 2:4 ფედოტენკო (59)

კაროლინა 2:1 ნიუ ჯერსი
0:0 1:1 0:0 1:0 (ოვერტაიმში)
0:1 ჯონტა (22), 1:1 სამონოფ (26), 2:1 სამონოფ (62)

მონრეალი 5:1 ატლანტა
1:0 0:1 4:0
1:0 ლაპიერი (13), 1:1 კოვალჩუკი (23), 2:1 ჰიგინსი (43), 3:1 ჰიგინსი (45), 4:1 მარკოვი (49), 5:1 კოსტიცინი (50)

ბოსტონი 4:0 ოტავა
2:0 1:0 1:0
1:0 ტორნტონი (6), 2:0 კრეიჩი (18), 3:0 ხარა (33), 4:0 ხარა (59)

სენტ ლუისი 1:3 დალასი
1:0 0:0 0:3
1:0 ტკაჩუკი (2), 1:1 ერიკსონი (43), 1:2 ლეჰტინენი (48), 1:3 ერიკსონი (50)

ედმონტონი 4:3 დეტროიტი
0:0 1:0 2:3 0:0 (1:0 გულიტებით)
1:0 ჯილბერტი (23), 2:0 სენდერსონი (42), 2:1 ერიკსონი (46), 2:2 დაციუკი (53), 2:3 ფილიუსა (58), 3:3 პიზანი (60)

კალგარი 2:3 კოლორადო
1:1 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)
0:1 სმიტი (5), 1:1 ბოიდი (16), 2:1 რეგირი (33), 2:2 პეიდუკი (54), 2:3 შჩასტნი (64)

აღმოსავლეთი

ატლანტიკა						
ნიუ ჯერსი	64	37	21	6	171:150	80
პიტსბურგი	64	36	21	7	190:173	79
რეინჯერსი	64	32	24	8	166:158	72
ფილადელფია	63	31	25	7	192:182	69
აილენდერსი	64	30	27	7	158:184	67
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ოტავა	64	36	22	6	210:192	78
მონრეალი	64	34	21	9	201:181	77
ბოსტონი	62	33	23	6	169:167	72
ბუფალო	63	30	24	9	188:178	69
ტორონტო	64	27	28	9	177:200	63
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
კაროლინა	66	33	28	5	196:208	71
ვაშინგტონი	64	29	27	8	181:197	66
ფლორიდა	65	28	30	7	175:189	63
ატლანტა	64	29	31	4	170:208	62
ტამპა	62	25	30	7	177:203	57

დასავლეთი

ცენტრი						
დეტროიტი	65	42	17	6	203:145	90
ნეშვილი	64	32	24	8	186:181	72
კოლუმბუსი	64	29	26	9	156:166	67
სენტ ლუისი	63	28	25	10	160:176	66
ჩიკაგო	62	29	27	6	178:180	64
ჩრდილო-დასავლეთი						
კალგარი	64	33	22	9	182:181	75
მინესოტა	63	34	24	5	171:172	73
ვანკუვერი	62	32	22	8	167:157	72
კოლორადო	64	32	26	6	175:176	70
ედმონტონი	64	29	30	5	173:193	63
წყნარი ოკეანე						
დალასი	67	40	22	5	199:164	85
ანაჰაიმი	66	36	23	7	167:163	79
სან ხოსე	62	33	21	8	161:151	74
ფინიქსი	63	32	26	5	173:171	69
ლოს ანჯელესი	64	26	34	4	186:212	56

ბოსტონელი მარკ სავარი ლიგის საუკეთესო პლეიმეიკერია

ბომბარდირები: ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 84(36+48); ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 82 (48+34); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 78 (32+46); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 75 (35+40); ჯერომ იგინლა (კალგარი) 75 (38+37); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 74 (23+51); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 74 (24+50); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 73 (35+38); მაიკ რიბეირო (დალასი) 73 (26+47); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 71 (17+54); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 71 (21+50); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 70 (41+29); მარკ სავარი (ბოსტონი) 70 (14+56); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 68 (21+47); დენი ჰიტლი (ოტავა) 66 (30+36); მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია) 66 (23+43); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 63 (20+43)

გოლეადორები: ოვეჩკინი 48; კოვალჩუკი 41; იგინლა 38; მალკინი 36; ალფრედსონი, ზეტერბერგი 35-35; მარიან გაბორიკი (მინესოტა), რიკ ნეში (კოლუმბუსი) 33-33; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), ლეკავალიე 32-32; პატრიკ შარპი (ჩიკაგო) 31; ოლი იოკინენი (ფლორიდა), ჰიტლი, ერიკ სტაალი (კაროლინა) 30-30; ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი), ვაცლაფ პროსპალი (ფილადელფია) 29-29

ასისტენტები: სავარი 56; ტორნტონი 54; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), დაციუკი 51-51; სპეცა, ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), სენ ლუი 50-50; მალკინი 48; გეცლაფი, სკოტ გომესი (რეინჯერსი), რიბეირო 47-47; ლეკავალიე 46; კროსბი, რიჩარდსი, შონ დონანი (ფინიქსი) 43-43

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 39; ჰიტლი 34; დაციუკი 32; იგინლა, ზეტერბერგი, დანკან კეიტი (ჩიკაგო) 24-24; დანიელ კლირი (დეტროტი), სპეცა 23-23; გეცლაფი 22; ბრენდენ მოროუ (დალასი), რიბეირო, კენტ ჰასკინსი (ანაჰაიმი), ჯეისონ არნოტი (ნეშვილი) 21-21

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,07; კრის ოსგუდი (დეტროტი) 2,10; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,12; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,14; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,18; ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 2,19; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,19; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,21; მარტი ტურკო (დალასი) 2,26; მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 2,29

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: კონკლინი 93,3; ლეკლერი 92,4; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 92,4; ლუონგო 92,3; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 92,0; ბროდო 92,0; ჟიგერი 91,9; მეტიუ გერონი (ედმონტონი) 91,8; დენ ელისი (ნეშვილი) 91,7; ოსგუდი 91,6; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 91,6; კრისტობალ იუე (ვაშინგტონი) 91,6

მოგებული მატჩები: ბროდო 35; ნაბოკოვი 33; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 32; ტურკო, ჟიგერი, ლუონგო, ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი), რაინ მილერი (ბუფალო) 28-28; კემ უარდი (კაროლინა) 27; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), ვოკოუნი 25-25

შათაუტები: ლეკლერი 9; ლუნდკვისტი 8; ლუონგო, ნაბოკოვი 6-6; ელისი, ვოკოუნი, გერონი, კრის მეისონი (ნეშვილი), ჰაშეკი, ჟიგერი, ლეგასი, ოსგუნდი, ბროდო 4-4



AFP

პეკინის დარბაზები

ეს პეკინის ოლიმპიადის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრია. ყველა საოლიმპიადო კომუნუკაცია აქ მოიყრის თავს. ხელმარცხნივ კი ტანვარჯიშის მთავარდარბაზია. მოკლედ, პეკინი ემზადება.



AFP

ფრენები

ეს ობერსდორფული ფრენაა. სამხრეთ გერმანიის ამ ქალაქის მთებში ტრამპლინის მსოფლიოს ჩემპიონატისას ფოტოგრაფებიც მიდარაჯებულნი არიან, რომ მფრინავნი ცაზე გამოიჭირონ.



AFP

გერმანელთა გამარჯვება

ბობსლეი ეძახე და, ფანობაც ამათ ჰყოლიათ. გერმანულმა ოთხკაცამ ანდრე ლანგეს მეთაურობით მსოფლიო თასი მოიგო, გერმანიისავე ქალაქ ალტენბერგში. თანაც, პირველი ადგილისთვის რუსებს აჯობა.

მიუნგრია

სიდნეიში ერთდღიან კრიკეტში შებმულან ავსტრალიელები და ინდოელები. ინდოელი შანტ შარმა ოზების ტაფელოსანს ენდრიუ სიმონდსს ჰბურთავს.

AFP

AFP

ჯონი უოკერის ყვანჯობა

ნიუ დელის ახლო იწყება აზიის ყველაზე განთქმული საგოლფე ტურნირი, ჯონი უოკერ კლასიკსი. ჰოდა, ვარსკვლავებიც თავს იყრიან: მარცხნივ ინდოელთა მთავარმეგოლფე ჯეევ მილხა სინგხი დაუმშვენებიათ ყვავილებით, მარცხნივ კი ბრიტანელიან პოლტერს ადებენ ნიშანს შუბლზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge